ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 34
(11 491)

4 – 7 მაისი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

პელე ქუთაისშია მიწვეული

ივნისში ქუთაისში ჩატარდება ბავშვთა საფეხბურთო ტურნირი, სახელწოდებით — „პელეს თასი“. პელემ მიიღო ქუთაისის ხელისუფალთა მიწვევა და პირადად ესტუმრება საფეხბურთო ტრადიციებით ცნობილ ამ ქალაქს — იუწყება „სპორტ-ექსპრესის“ კორესპოდენტი თენგიზ პაჭკორია. ლეგენდარული ბრაზილიელი თავად გადასცემს თასს გამარჯვებულს. ამასთან, იმერეთის ამ ქალაქში უკვე დაუწყიათ ფილმის გადაღება „პელე ქუთაისიდან“. სიუჟეტი რეალურ ამბავს ეფუძნება. 31 წლის წინათ, როცა მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე პელე საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, ქუთაისში დაიბადა ბიჭი, რომელსაც პელე დაარქვეს. ახალშობილის მამა პელეს უსაზღვროდ თაყვანისმცემელი ყოფილა. გადაღებები დაგეგმილია ბრაზილიაშიც.

2

სპორტის ზამთრის სახეობებში ავსტრიის ფედერაციის პრეზიდენტი კლაუს ლაისნერი ბაკურიანის აღორძინებაში თანადგომას დაჰპირდა ჩვენ ფედერაციას

13 მედალი ძიუდოში ჭაბუკებს შორის ანკარის საერთაშორისო ტურნირიდან

2

ორგანიზაცია, რომელიც მხარში დაუდგა სპორტსმენებს

„კარლ-ცეისი“ – „დინამო“

ამ კლუბების ვეტერანები თბილისში ითამაშებენ

გუშინ, ინტერნეტით მსოფლიო საფეხბურთო სამყარომ შეიტყო, რომ საფინალო მატჩი ამ ორ გუნდს შორის, რომელიც 1981 წლის 13 მაისს ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასზე ქართველი ფეხბურთელების გამარჯვებით დამთავრდა, მეტოქეთა იმდროინდელი შემადგენლობით, ამხანაგური შეხვედრის სტატუსით, ახლა უკვე თბილისში გაიმართება იმავე 13 მაისს. მატჩი ეროვნულ სტადიონზე 21 საათზე დაიწყება. შეხვედრა ჩაივლის ფეიერვერკის თანხლებით, იგეგმება საინტერესო შოუ-პროგრამა. ადრე გამოცხადებული შემადგენლობიდან მოედანზე ვერ ვიხილავთ გერხარდ ხოპეს, რომელიც ახლახან ავტოავარიაში მოყვა, თუმცა, როგორც იუწყებიან, იგი სტუმართა შორის აუცილებლად იქნება და მატჩს ტრიბუნიდან ადევნებს თვალყურს.



ვებერი (№4) საუკეთესო იყო „საკრამენტოდან“

„ფილადელფია“ და „საკრამენტო“ — ლიდერობენ

მერვედფინალში „საკრამენტომ“ მეტოქის მოედანზე დაამარცხა „ფინიქსი“ — 89:82 და მესამე გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა. საერთო ანგარიშია 3:1. არადა, ამ შეხვედრაში პირველ ოცდაათ წუთში მასპინძლები ორჯერ გავიდნენ წინ, თანაც, 19 ქულით. „საკრამენტომ“ მაინც მოახერხა თამაშში გარდატეხის შეტანა და საბოლოო წარმატებით გაინალდა პლეი-ოფის მომდევნო რაუნდში ასპარეზობის უფლება, სადაც მისი მეტოქე იქნება „ლეიკერსი“. „ინდიანაც“ საკუთრ მოედანზე დამარცხდა „ფილადელფიასთან“ — 85:88. აქაც ანგარიში 3:1-ია ფილადელფიელთა სასარგებლოდ. მეოთხედფინალში თუ ვინ იქნება „ფილადელფიის“ შემდეგი მეტოქე გაირკვევა „ტორონტო“ — „ნიუ-იორკის“ მატჩების სერიის საბოლოო შედეგით. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების პაექრობა 5 მატჩამდე გაიწელა. ბოლო მათი შეხვედრა „ტორონტოს“ სასარგებლოდ დამთავრდა — 100:93 და ანგარიში გახდა 2:2.

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

4

უმაღლესი ლიგა, პირველი ლიგა, რეგიონალური ლიგა

5

ელბერი გოლის გატანის შემდეგ მუხლს ეამბორა

3

ირინა ერმოლოვა (მარცხნივ) და ალა ივანოვა

ეფენბერგი ხელმძღვანელებს წაეჩხუბა

ადრე გავრცელებული ხმები, რომ სეზონის ბოლოს ეფენბერგმა შეიძლება დატოვოს მიუნხენის „ბავარია“, მას შემდეგ უფრო გაძლიერდა, რაც ეს ფეხბურთელი კლუბის ვიცე-პრეზიდენტს რუმენიგეს სიტყვიერად წაეკინკლავა. „ეფენბერგის კარიერა დაღმა დაეშვა და მისი საუკეთესო დრო უკან დარჩა“ — განაცხადა რუმენიგემ. „როდის და სად დასრულდება ჩემი დრო, ეს მხოლოდ მე ვიცი“ — პასუხობს ეფენბერგი.

● მილანის „ინტერმა“ კონტრაქტი გააფორმა 18 წლის ფრანგ მატიე მოროსთან, რომელიც აქამდე „ნანტის“ გოლკიპერი იყო. შეგახსენებთ, რომ შარშან „ინტერმა“ 20 წლის სებასტიან ფრე იყიდა „ვერონიდან“, რომელიც დღეს ძირითადი მეკარეა.

გაზეთის დაბეჭდვის წინ:

● გუშინ გაჩნდა ინფორმაცია, რომ ბირხოფის შეძენა „მილანიდან“ სურს „ოლიმპიკს“. შეთავაზებულია მისი გაცვლა ბრაზილიელ ფორვარდ ალოიზიოში.

● ტრავმის შემდეგ „ლაციოს“ კვლავ დაუბრუნდა თავდამსხმელი მარსელო სალასი, რომელიც უკვე შეიყვანეს „ნაპოლისთან“ მომავალი მატჩის განაცხადში. „ლაციო“ ეროვნულ ჩემპიონატში ახლა მესამე ადგილზეა.

● რუსეთის „როტორის“ ხელმძღვანელობამ პატრიოტიზმის არქონის ბრალდებით, ტრანსფერზე დააყენა კლუბის ყველაზე მაღალხელფასიანი ვეტერანი ფეხბურთელი, ნახევარმცველი ალექსანდრ ბერკეტოვი. აღარ იკითხავთ რა ფასად? სულ... ექვს კაპიკად! „დიახ, ვითხოვთ მხოლოდ ექვს კაპიკს და იმასაც ვნახავთ, ვინ იყიდის ამ ფასად!“ — აცხადებს კლუბის პრეზიდენტი ვლადიმერ გორიუნოვი.

● ფიფამ პერუს აკრძალა ეკვადორთან შინ მსოფლიოს შესარჩევი მატჩის ჩატარება. მიზეზი პერუ-ჩილეს მატჩის დროს მომხდარი არეულობაა.

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი.
აზია. I ჯგუფი: სირია — ფილიპინი 12-0, ომანი — ლაოსი 12-0.

● „რეალს“ ვიდუკა აღარ სურს შეიძინოს, რადგან „ლიდსის“ ხელმძღვანელობა ძალიან ძვირს, 27 მილიონ დოლარს ითხოვს ამ ფეხბურთელში.

● „იუვენტუსის“ ლიდერს ზინედინ ზიდანს იოტისოდენა ეჭვიც არ ეპარება, რომ მისი კლუბი წლეულს აუცილებლად გახდება იტალიის ჩემპიონი. „ჯერ მოვუგებთ „რომას“ ტურინში, რაც დარჩენილი ხუთი ტურისთვის რწმენას შეგვმატებს“ — ამბობს ზიდანი.

● „მილანის“ ხელმძღვანელობამ გუშინ უარყო ხმები თითქოს ხორვატ ზვონიმირ ბობანს წინასწარ კონტრაქტზე მოუწეროს ხელი მარსელის „ოლიმპიკთან“.

ფეხბურთის თემაზე მომუშავე ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

1-2 ივნისს საქართველოსა და იტალიის ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებთა მატჩებზე აკრედიტაციისთვის გთხოვთ 15 მაისამდე წერილობით მიმართოთ სფფ-ს პრეს-ატაშეს მამუკა კვარაცხელიას. ტელეფონი: 25-01-16, ფაქსი: (822) 00-11-28.

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 3 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 9 თვე და 4 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

ავსტრიელებმა თანადგომა დაგვიდასტურეს

როგორც „ლელოს“ წინა ნომერში გაუწყეთ, საქართველოში სტუმრობდა ავსტრიის სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის დელეგაცია გენერალური მდივნის კლაუს ლაისნერის ხელმძღვანელობით. ჩამოსვლის მიზანი იყო ჩვენი ფედერაციისადმი ბაკურიანის, როგორც სპორტის ზამთრის სახეობათა უნიკალური ცენტრის აღორძინებაში დახმარება. ჩვენი ფედერაციის ხელმძღვანელებთან ერთად, სტუმრები ჩავიდნენ ბაკურიანში და ადგილზე გაეცნენ ტრასებს, საბაგირო გზების გაფანის პერსპექტივას, ინფრასტრუქტურის შექმნის შესაძლებლობებს. რაც მთავარია, საგულდაგულოდ დაათვალიერეს ბაკურიანის ყოფილი სასწავლო-საწვრთნო ცენტრი, ე.წ. უტც, რომლის რეკონტრუქციას და კეთილმოწყობას ჩვენი ფედერაცია აპირებს ავსტრიელთა თანადგომით.

„ჩვენ, ორ ფედერაციას დიდი ხნის კეთილი ურთიერთობა გვაკავშირებს, ავსტრიელი მეგობრების ხელშეწყობით, ჩვენი საუკეთესო სამთომეთხილამურეები ამ ქვეყნის ზამთრის კურორტზე ემზადებიან და აი, ჩვენი თანამშრომლობა ახალ ფაზაში შევიდა — ავსტრიელები მზად არიან ერთად, ნაბიჯ-ნაბიჯ დავიწყოთ ბაკურიანის იმ ობიექტების რეაბილიტაცია, რომლებიც ჩვენ დავიკანონეთ“ — თქვა საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტმა გოგი თოფაძემ.

კლაუს ლაისნერი აღფრთოვანებას ვერ მალავდა ბაკურიანის პერსპექტივით მიღებული შთაბეჭდილებებით. აი, რა უთხრა მან „ლელოს“ კორესპონდენტს: „ჩვენ ჩამოვედით, რათა ქართულ კოლეგებს და მეგობრებს ჩვენი ძალისხმევა შევაშველოთ და ფინანსური მხარდაჭერა აღმოვუჩინოთ. მთავარია, დავიწყოთ. ჩვენს მასპინძლებს მე ვუთხიე, ერთბაშად დიდ პრობლემებს ნუ შევეჭიდებით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს ეტაპობრივად. მზად ვართ მონაწილეობა მივიღოთ პროექტის ხორცშესხმაში“.

საქართველოს და ავსტრიის ფედერაციების ხელმძღვანელები შეხვდნენ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ირაკლი მეძმარიაშვილს და ერთხელ კიდევ დააფიქსირეს თავიანთი მზადყოფნა ბაკურიანში პირველი ეტაპის სამუშაოების ჩასატარებლად.

საგენტო „ბუმათე“

წოდების მინიჭება

საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვა-განვითარებისა და ახალგაზრდა თაობის ფიზიკურ აღზრდაში შეტანილი დიდი პირადი წვლილისათვის „საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის“ წოდება მიენიჭოთ:

მერაბ ლეშკაშელს – ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ტანვარჯიშის კათედრის უფროს მასწავლებელს;

ტარიელ ორდინიძეს – თბილისის პოლიტექნიკური კოლეჯის ფიზაღზრდის მასწავლებელს;

ერნესტ მარუტის – ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის წყალთა სახეობების კათედრის დოცენტს;

კარლო ხარატიშვილს – განათლების სამინისტროს ტანვარჯიშის სახეობათა ოლიმპიური რეზერვის რესპუბლიკური სპორტსკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს;

გიორგი დავთიანს – ქ. თბილისის მერიის სპორტის, ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის სამსახურის სპეციალისტს, მწვრთნელს ფარიკაობაში.

ძიუდო ანკარის საერთაშორისო ტურნირი

13 მედალი და გუნდური პირველი ადგილი

არის თუ არა ეს საქართველოში ძიუდოს მასობრივობის შედეგი?

ჭაბუკთა სპორტში, სპორტის უმეტეს სახეობებში ჩვენს სპორტსმენებს უკეთესი მიღწევები რომ აქვთ, ვიდრე მოზრდილებში, ყველასთვის ცნობილია. საიმედო რეზერვის მოსამზადებლად თუ ვინმე შეხმატკბილებულად მუშაობს ეროვნული ნაკრები გუნდის ხელმძღვანელებთან, ეს ძიუდოში ჭაბუკთა, ახალგაზრდული და ეროვნულ, ნაკრების მწვრთნელებზეც ითქმის.

გუშინწინ, ძიუდოს დარბაზს მივაკითხეთ, რათა საკუთარი თვალით გვენახა ერთი ჩვეულებრივი საწვრთნელი საღამო. რაც ვიხილეთ, მოლოდინს გადააჭარბა — დარბაზში ტევა არ იყო. ის იყო ჭაბუკებმა (ათეულობით მოზარდმა) ვარჯიში დაამთავრეს, რომ ტატამზე ახალგაზრდული და დიდების ნაკრები გავიდა. მათ გვერდით ვიხილეთ ის ყმაწვილებიც, რომლებიც ევროპის ჭაბუკთა ოლიმპიური დღეებისთვის ემზადებიან. ეს ბიჭები ამ დღეებში დაბრუნდნენ ანკარიდან, სადაც ტრადიციულ ტურნირში გამოდიოდნენ. იქ მონაწილე 8 ქვეყნის წარმომადგენლებს ერთი საერთო ამოცანა ჰქონდათ — ღირსეულთა შერჩევა ევროპის ჭაბუკთა ოლიმპიურ დღეებში მონაწილე ნაკრებისთვის.

„დიდი წარმატება!“ ასე შეიძლება ეწოდოს ჩვენი ჭაბუკების (1985-86 წ. დაბადებულნი) გამოსვლას ანკარაში. 13 მედალი და გუნდური პირველი ადგილი — ასეთია მონაგარი. ამასთან, ზოგიერთ წონაში ფინალი და III ადგილისთვის შეხვედრა წმინდა ქართული იყო.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.

გამარჯვებულები: მიხეილ ხომეზური (60 კგ), ჯარჯი ზვიადაური (73), თევდორე აბელაშვილი (90), ლაშა გუჯეჯიანი (+90); ***მეორე პრიზიორები:*** 1. ზაურ კვედელაშვილი (60), ვაჟა კოტორაშვილი (55), ჯარჯი ფოთოლაშვილი (66), ნოდარ ქათამაძე (90), დურმიშხან ბერუაშვილი (+90); ***მესამე პრიზიორები:*** დავით კუპრაშვილი (55), მინდია აფციაური (81), ლევან ჩოხელი (81), არჩილ შათირიშვილი (66). შათირიშვილი ახმეტიდანაა, ფოთოლაშვილი — თელავიდან, დანარჩენები თბილისში ვარჯიშობენ.

გიორგი ხუბერაშვილი

ავსტრიელებმა თანადგომა დაგვიდასტურეს

როგორც „ლელოს“ წინა ნომერში გაუწყეთ, საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის დელეგაცია გენერალური მდივნის კლაუს ლაისნერის ხელმძღვანელობით. ჩამოსვლის მიზანი იყო ჩვენი ფედერაციისადმი ბაკურიანის, როგორც სპორტის ზამთრის სახეობათა უნიკალური ცენტრის აღორძინებაში დახმარება. ჩვენი ფედერაციის ხელმძღვანელებთან ერთად, სტუმრები ჩავიდნენ ბაკურიანში და ადგილზე გაეცნენ ტრასებს, საბაგირო გზების გაფანის პერსპექტივას, ინფრასტრუქტურის შექმნის შესაძლებლობებს. რაც მთავარია, საგულდაგულოდ დაათვალიერეს ბაკურიანის ყოფილი სასწავლო-საწვრთნო ცენტრი, ე.წ. უტც, რომლის რეკონტრუქციას და კეთილმოწყობას ჩვენი ფედერაცია აპირებს ავსტრიელთა თანადგომით.

„ჩვენ, ორ ფედერაციას დიდი ხნის კეთილი ურთიერთობა გვაკავშირებს, ავსტრიელი მეგობრების ხელშეწყობით, ჩვენი საუკეთესო სამთომეთხილამურეები ამ ქვეყნის ზამთრის კურორტზე ემზადებიან და აი, ჩვენი თანამშრომლობა ახალ ფაზაში შევიდა — ავსტრიელები მზად არიან ერთად, ნაბიჯ-ნაბიჯ დავიწყოთ ბაკურიანის იმ ობიექტების რეაბილიტაცია, რომლებიც ჩვენ დავიკანონეთ“ — თქვა საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტმა გოგი თოფაძემ.

კლაუს ლაისნერი აღფრთოვანებას ვერ მალავდა ბაკურიანის პერსპექტივით მიღებული შთაბეჭდილებებით. აი, რა უთხრა მან „ლელოს“ კორესპონდენტს: „ჩვენ ჩამოვედით, რათა ქართულ კოლეგებს და მეგობრებს ჩვენი ძალისხმევა შევაშველოთ და ფინანსური მხარდაჭერა აღმოვუჩინოთ. მთავარია, დავიწყოთ. ჩვენს მასპინძლებს მე ვუთხიე, ერთბაშად დიდ პრობლემებს ნუ შევეჭიდებით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს ეტაპობრივად. მზად ვართ მონაწილეობა მივიღოთ პროექტის ხორცშესხმაში“.

საქართველოს და ავსტრიის ფედერაციების ხელმძღვანელები შეხვდნენ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ირაკლი მეძმარიაშვილს და ერთხელ კიდევ დააფიქსირეს თავიანთი მზადყოფნა ბაკურიანში პირველი ეტაპის სამუშაოების ჩასატარებლად.

საგენტო „ბუმათე“

გლობალ ტაეკვონ-დო

მამუკა ჯალაღონიას ხსოვნის ტურნირი

ფოთში გაიმართა უდროოდ გარდაცვლილი მწვრთნელის მამუკა ჯალაღონიას ხსოვნის ტურნირი, რომელშიაც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან 300-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. შეჯიბრების ორგანიზატორმა, მ. ჯალაღონიას სახელობის ფოთის გლობალ ტაეკვონ-დოს კლუბმა „იბერიამ“ (პრეზიდენტი ზაზა ლემონჯავა) ყველაფერი გააკეთა ასპარეზობის მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

თბილისიდან მონაწილეობდა სხვადასხვა ასაკის წარმომადგენელთა ნაკრები გუნდი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის მიხეილ მდინარაძის (შავი ქამარი, II დანი) ხელმძღვანელობით. ამ გუნდიდან პირველობა მოიპოვეს ლადო შოვნაძემ და გიორგი ნადარეიშვილმა, მ. ამე პრიზიორები გახდნენ ოთარ შამუგია და იულონ ღონღაძე.

ტურნირს ესწრებოდა საქართველოს გლობალ ტაეკვონ-დოს ფედერაციის პრეზიდენტი ალექსანდრე გონგაძე (შავი ქამარი, VI დანი). „ფედერაცია და პირადად მე მადლობას ვუხდით შპს „პიროვნებისა და საკუთრების დაცვის „გარანტის“ მთავარი სამმართველოს უფროსს ზვიად აბესაძეს გაწეული დახმარებისთვის“ — თქვა მიხეილ მდინარაძემ.

ც. ბაძრაძე

ქ. თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური აცხადებს კონკურსს ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად

სპორტული მუშაობის განყოფილება:
— განყოფილების უფროსის მოადგილე — 1 ვაკანტური ადგილი სპორტული განათლებით;
— მთავარი სპეციალისტი - 1 ვაკანტური ადგილი სპორტული განათლებით;

საინვესტიციო და საერთაშორისო განყოფილება:
— განყოფილების უფროსის მოადგილე — 1 ვაკანტური ადგილი ტექნიკური განათლებით;
— მთავარი სპეციალისტი — 1 ვაკანტური ადგილი უცხო ენების განათლებით.

სამეურნეო განყოფილება:
— განყოფილების უფროსი — 1 ვაკანტური ადგილი ინჟინრის სპეციალობით;
— მთავარი ინჟინერი — 1 ვაკანტური ადგილი ინჟინრის სპეციალობით.

სორგანიზაციო და მასობრივი მუშაობის განყოფილება:
— წამყვანი სპეციალისტი — 1 ვაკანტური ადგილი ფილოლოგიური განათლებით;

ფიზიკური აღზრდისა და სპორტული რეზერვების განყოფილება:
— განყოფილების უფროსი — 1 ვაკანტური ადგილი სპორტული განათლებით.

ტურიზმის განყოფილება:
განყოფილების უფროსი — 1 ვაკანტური ადგილი სპორტული განათლებით.

მისამართი: თბილისი, კონსტიტუციის, 6.

დაჯილდოება

საქართველოში ქართული ჭიდაობისა და სამბოს განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ***ქრისტეფორე ნინოაშვილი*** დაჯილდოდა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საპატიო სიგელით.

მილოცვები

აჭარის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი გულითადად ულოცავს დაბადებიდან საიუბილეო თარიღს ქალთა შორის მსოფლიო ხუთგზის ჩემპიონს, საჭადრაკო ოლიმპიადების თერთმეტგზის ლაურეატს, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტს, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერს, ქართული ერის სახელოვან ქალბატონს ***ნონა გაფრინდაშვილს.***

* * *

„ლელოს“ რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს ფოტოკორესპონდენტს ***რობერტ ბაგოიანს.***

მუშტი-კრივი და სასჯელი

როგორც „ლელოს“ წინა ნომერში გაუწყეთ, საქართველოს ვაჟ კალათბურთელთა ეროვნულ ჩემპიონატში მსაჯის მიერ გარბენის შეუმჩნევლობა მაშინ, როცა მატჩის დასრულებას 31 წამი აკლდა, შფოთისა და რუსთაველთა გაავების, მათი მხრიდან მსაჯისადმი ფიზიკური ანგარიშსწორების საბაბი გახდა. ამ მატჩს „აზოტსა“ და სტუ-„ჯეოსელს“ შორის ჩემპიონატის ფინალისტი უნდა გამოევლინა. რუსთაველებს შეეძლოთ შეხვედრის მოგება, მაგრამ თამაში ვერ აწყვეს, იგრძნეს რა მოახლოებული მარცხი, თითქოს მიზეზს ეძებდნენო, შარზე იყვნენ და იპოვეს კიდეც ეს მიზეზი, რაც ზემოთ უკვე ვახსენეთ. ამის შემდეგ, „აზოტის“ კალათბურთელებმა, მათმა გულშემატკივრებმა და თვით გუნდის ხელმძღვანელება იერიში მსაჯებზე მიიტანეს. განსაკუთრებით დაზარალდა არბიტრი ზაზა მაჩალაძე. კიდევ კარგი კახა შენგელიამ და ზაზა გაბისონიამ იყოჩაღეს და თავისიანებს მსაჯის მოედანზე „დამარხვა“ არ დაანებეს.

რა აზრისაა მატჩის კომისარი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი მურმან ქურიძე? აი, რა უთხრა მან „ლელოს“ კორესპონდენტს: „შეცდომა ყველას მოსდის, უარესიც, ვიდრე ეს საბაბად გაიხადეს რუსთაველებმა, მაგრამ არც კალათბურთში, არც ფეხბურთში და არც სპორტის სხვა სახეობაში მსაჯს მოედანზე ესე ველურად არავინ უსწორდება. ისე, აჯობებდა ნეიტრალური მსაჯები მოგვწვია.“

ახლა იმის შესახებ თუ რა ვერდიქტი გამოიტანა ფედერაციის აღმასკომმა. „აზოტს“ ჩამოერთვა III ადგილისთვის ბრძოლის უფლება, სამი წლით პირობითადაა დისკვალიფიცირებული და 800 ლარი ჯარიმა დაეკისრა. „აზოტის“ მწვრთნელს ოთარ ხმელიძეს, რომელიც თავად ჩაერთო დებოშში, სამი წლით აეკრძალა უმაღლესი ლიგის ნებისმიერ გუნდში მუშაობა. ირაკლი ჯაფარიძე, რომელმაც არეულობა წამოიწყო, ორი წლით ჩამოაშორეს კალათბურთს, რამაზ გოგობერიშვილი და მამუკა ტურაშვილი გაისად 5-5 მატჩს გამოტოვებენ ეროვნულ ჩემპიონატში და თითოეული 500 ლარ ჯარიმას გადაიხდის. ლევან ჩაჩუას და ბადრი აბზიანიძეს თითო წლით დისკვალიფიკაცია მიეცათ, ამასთან, ორივე 500-500 ლარ ჯარიმას გადაიხდის. მიხეილ ბერუაშვილის დასჯისაგან აღმასკომმა თავი დროებით შეიკავა.

ასე რომ, ფინალური მატჩი სტუ-„ჯეოსელსა“ და ბათუმის „ბასკოს“ შორის გაიმართება 7 და 10 აპრილს, თუ საჭირო გახდა – 11 მაისს.

მხოლოდ „მატნეს“ ჯიხურებში!



ვაჟა რხაიძე

მრეტები

ჩოგბურთელები მჯკვრის მარცხენა ნაპირიდან

ისტორიულად ჩოგბურთის განვითარების ცენტრები საქართველოში მე-20 საუკუნის დასაწყისში პლეხანოვის გამზირზე და მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე კორტები იყო. წინა წერილებში დაწვრილებით გიამბეთ იმ შესანიშნავ ჩოგბურთელებზე, რომლებსაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართული ჩოგბურთის ჩამოყალიბებაში. უპირველეს ყოვლისა ესენი არიან: იანი ჰომერი, ედუარდ ნეგრებეცკი, არჩილ მდივანი, ვახტანგ (გუგული) დიდიძე, არამ ხანგულიანი, დავით გულიაშვილი, ძმები ბორის და ვლადიმერ სერებრენიკოვები, თამარ გოგოლაური. დღეს ვისაუბრებთ ჩოგბურთელებზე მტკვრის მარცხენა ნაპირიდან, რომლებმაც ღირსეულად გაგრძელეს თავისი წინამორბედების საქმე და რომლებთანაც 20 წლის განმავლობაში მიწევდა შეჯიბრებებში პაექრობა, ან ნაკრები გუნდის შემადგენლობაში ყოფნა.

დასრულდა მე-2 მსოფლიო ომი. მიუხედავად ომისშემდგომი უმძიმესი წლებისა, ცხოვრება ნელ-ნელა თავის კალაპოტში დგებოდა. აღორძინდა სპორტული ცხოვრებაც. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები ბოლოს და ბოლოს უგებენ თავის ყველაზე რთულ მეტოქეს — მოსკოვის „დინამოს“. თბილისის ოფიცერთა სახლის და თბილისის „დინამოს“ კალათბურთელები ხდებიან საბჭოთა კავშირის ჩემპიონები. ევროპის ჩემპიონატებში იმარჯვებენ ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია, ნინო დუმბაძე, ავთანდილ ჭორიძე. 1952 წლის ოლიმპიურ თამაშებზე — მზია ჯუღელი, გალინა შარაბიძე, რაფიელ ჩიმიშკიანი, დავით ციმაკურიძე, არსენ მეკოკიშვილი. საქართველოში ჩამოდის ლეგენდარული ესტონელი მოჭადრაკე პაულ კერესი.

თანდათანობით ფეხზე დგება საჩოგბურთო ცხოვრებაც. მაგრამ ამასთანავე ქართულმა ჩოგბურთმა უდიდესი დანაკლისი განიცადა — აბსურდული ბრალდებით დახვრიტეს საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი არჩილ მდივანი, შორეულ კოლიმის ბანაკში „ხუთწლედს სამ წელიწადში“ ასრულებდა გამოჩენილი მწვრთნელი იან ჰომერი, ფრონტზე იღუპება ერთ-ერთი უნიჭიერესი ქართველი ჩოგბურთელი დავით გულიაშვილი.

1945 წლიდან მოყოლებული საქართველოს უძლიერესი ჩოგბურთელები მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებაში. ვანო ელერდაშვილი და ბორის კრუპენიკოვი ხდებიან სპორტის ოსტატები და შეჰყავთ საბჭოთა კავშირის უძლიერეს ათეულში. ჭაბუკთა ასპარეზობებში წარმატებით გამოდიან გივი კოკაია, ვიქტორ ურაევსკი, რევაზ ფანცხავა, გივი ჩახუნაშვილი, რემ აივაზოვი, რიტა პუგაევა, ლამარა კოკაია, მზია ბაქრაძე, ელენე რადკევიჩი, 1949 წელს „დინამოს“ აღდგენილ კორტებზე, პირველად საქართველოში, ტარდება საბჭოთა კავშირის პირველობა.

მაგრამ თუ ვაჟთა ჩოგბურთში საქმე, ასე თუ ისე, კარგად მიდიოდა, ქალთა ჩოგბურთზე ამას ვერ ვიტყვით. ომისშემდგომ წლებში გამოსვლას განაგრძობენ ნუნუ ხელაია, თამარ ჩიმერინა, მარიამ კლდიაშვილი, ტატიანა ბაქრაძე, ელენე მაიერი, ლიკა ზაქსი, რომელთა კლასი ჩამოუვარდებოდა რუსეთის და უკრაინის ჩოგბურთელი ქალების დონეს. და აი 50-იან წლებში თბილისის კორტებზე გამოჩნდა ტანადი, მშვენიერი და არაჩვეულებრივად მიზანდასახული ირა რიაზანოვა (გათხოვების შემდეგ ირა ერმოლოვა). ჩოგბურთის მოყვარულები დიდი ხანი ელოდნენ ისეთი მოთამაშე ქალის გამოჩენას, რომელიც ქალთა ჩოგბურთს სულ სხვა დონეზე აიყვანდა. მალე ირა ხვდება საბჭოთა კავშირის ნაკრებში. პირველი დიდი წარმატება კი 1960 წელს მოვიდა, მოსკოვის საერთაშორისო ტურნირის ფინალში ირა ამარცხებს გამოჩენილ ჩეხ ჩოგბურთელს ვერა პუტეიოვას. ამ დროისათვის ირა უკვე არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი წყვილთა თანრიგში ანა დიმიტრიევასთან ერთად, უნივერსიადის ჩემპიონი, მრავალი საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული და პრიზიორი. იგი საქართველოდან პირველი ჩოგბურთელი ქალია, რომელმაც ინგლისის ბალახის კორტებზე იასპარეზა. ახლა ირა ნაყოფიერად მუშაობს მწვრთნელად.

თუ ირინამ ჩოგბურთის თამაში ისწავლა პლეხანოვის კორტებზე, მეორე გამოჩენილი ჩოგბურთელი ქალი ***ალა ივანოვა*** გაიზარდა მარჯანიშვილის ქუჩის კორტებზე.

ალა იყო სწრაფი, უაღრესად ტექნიკური ჩოგბურთელი. მისი თამაშის შემტევი სტილი მამაკაცური ივრით გამოირჩეოდა, რაც სიამოვნებას ანიჭებდა ჩოგბურთის მოყვარულებს. ათი წლის განმავლობაში (1964-1973) ალა ივანოვა სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალისტია, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული და პრიზიორი. ამჟამად ალა საჩოგბურთო კლუბ „დინამოს“ მწვრთნელია. ირინას და ალას გვერდით აღიზარდნენ და თამაშობდნენ ისეთი ცნობილი ჩოგბურთელი ქალები, როგორებიც იყვნენ ქენიკო ვერულავა. ირინა საღრიშვილი, ოფელია პაპაიანი, ტატიანა ფარსადანოვა, ყველა მათგანს კარგი მიღწევები ჰქონდა იუნიორთა შეჯიბრებებში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ შეძლეს თავისი თამაშის უფრო მაღალ დონეზე სრულყოფა. თუმცა, ოფელია პაპაიანმა 60-იან წლებში შეძლო ბევრი ჩოგბურთელი ქალი დაემარცხებინა, მათ შორის იმ დროის ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშე რაუზა ისლანოვა (ცნობილი ჩოგბურთელის მარატ საფინის დედა).

მამაკაცთა ჩოგბურთი მტკვრის მარცხენა ნაპირზე ყოველთვის იყო გაცილებით მრავალრიცხოვანი და ომისშემდგომი წლების საქართველოს ჩოგბურთის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ელერდაშვილების ოჯახმა.

საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ***არჩილ ელერდაშვილმა (1920-1987)*** მთელი თავისი ცხოვრება შეწირა ახალგაზრდა ჩოგბურთელთა და მწვრთნელთა აღზრდას. ლენინგრადის ლესგაფტის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტში, სადაც აღიზარდნენ ისეთი ცნობილი მწვრთნელები, როგორებიც არიან: მარლენ ქობალია, ოთარ ჭარხალაშვილი, გურამ თოხაძე, რენა აბჟანდაძე, მარინა, გია, ნიკო და გელა ელერდაშვილები, სულიკო თუხარელი, გივი ახალაძე, თენგიზ ქარსიმაშვილი, დები მარინა და ირინა მალაკიძეები და ბევრი სხვა, რომლებმაც 50-90-იან წლებში გააგრძელეს წინამორბედთა დაწყებული საქმე.

ვანო ელერდაშვილი (1922) აღიზარდა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, მარჯანიშვილის კორტებზე. წარმატებებიც მალე ეწვია — 12 წლის ყმაწვილი თავის ასაკობრივ ჯგუფში საქართველოს ჩემპიონი ხდება. 1938 წელს მწვრთნელების გუგული დიდიძისა და არამ ხანგულიანის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მოიპოვა საბჭოთა კავშირის თასი ჭაბუკთა შორის. მერე იყო ომი. და მხოლოდ 1944 წელს მძიმე ჭრილობის შემდეგ შეძლო დაბრუნებოდა ჩოგბურთს. 1945 წელს ხდება საქართველოს ჩემპიონი და 1946-1947 წლებში შედის საბჭოთა კავშირის უძლიერეს ათეულში. 1952 წელს საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში (ვიქტორ ურაევსკი, გივი კოკაია, გრიგორ ღარიბაშვილი, ოლეგ თინიკაშვილი) ვანო ელერდაშვილი საკავშირო თასის „ვერცხლის“ პრიზიორია. ხოლო 1956 წელს წარმატებით მონაწილეობს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში. 1958 წელს ვანო ელერდაშვილმა დაასრულა თავისი სპორტული კარიერა და ახალგაზრდა თაობის აღზრდას შეუდგა. 1967 წელს მას მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება. ბატონი ვანო ახლაც, ენერგიით აღსავსე, მთელი არსებით ემსახურება ქართულ ჩოგბურთს.

არჩილისა და ვანოს ბიძაშვილი გოგი ელერდაშვილი (1993) წლების განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობდა მწვრთნელად სოხუმში და ტრაგიკულად დაიღუპა დაბომბვის დროს.

ვანო ელერდაშვილის ძირითადი მეტოქე 40-იან წლებში იყო გასაოცარი სტილის მოთამაშე ბორის კრუპენიკოვი (1918). როგორც ვანო, 1937 წელს ისიც განთქმულ ანრი კოშეს სკოლაში მეცადინეობდა. 1945 წელს



ვიქტორ ურაევსკი (მარცხნივ) და გივი კოკაია

ბორისი შედის საბჭოთა კავშირის უძლიერეს ათეულში. სამწუხაროდ, ომისშემდგომ წლებში იგი ჩოგბურთს ნაკლებ დროს ანდომებდა და ვერ შესძლო თავისი დიდი პოტენციალის ბოლომდე გამომჟღავნება. ამჟამად ბორისი მოსკოვში ცხოვრობს.

ვანო ელერდაშვილის და ბორის კრუპენიკოვის შემცვლელად მოვიდნენ შესანიშნავი ახალგაზრდა ჩოგბურთელები გივი კოკაია (1929) და ვიქტორ ურაევსკი (1930-1979).

გივი კოკაია, 1946 წელს გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მოზარდთა შორის და ეს წარმატება მომდევნო წელსაც გაიმეორა. 1948-1949 წლებში გივი ამარცხებს საქართველოს ყველა ძლიერ ჩოგბურთელს და ხდება საქართველოს ჩემპიონი. 1952 წელს საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის თასის „ვერცხლის“ პრიზიორია. 1956 წელს წარმატებით თამაშობს კაპიტნის როლში საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე. გივი კოკაია არის ქართული ჩოგბურთის ბრწყინვალე წარმომადგენელი. ის თამაშობდა გააზრებულ, კომბინაციურ ჩოგბურთს, არასოდეს ააგებდა ტაქტიკას სხვის შეცდომებზე და ყოველთვის ცდილობდა თავისი აქტიური თამაშით მიეღწია წარმატებისთვის. ცხოვრებაშიც ისეთივე, როგორიც იყო კორტზე — უკომპრომისო და სიცოცხლით სავსე. ბატონი გივი ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საინჟინრო აკადემიის წევრი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

— ბავშვობიდან მჭონდა ოცნება შევხვედროდი კორტზე ***ვიქტორ ურაევსკის.*** ეს მოხდა პირველად და უკანასკნელად 1960 წელს. მაგრამ მაშინ ეს ის ვიქტორი აღარ იყო, რომელსაც ყველა იცნობდა მისი მშვენიერი თამაშით. 1948 წელს იგი ხდება საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, სულ მალე კი — საქართველოს უძლიერესი ჩოგბურთელი. 50-იან წლებში ვიქტორი საბჭოთა კავშირის უძლიერეს ათეულშია. სწრაფი და ამტანი, თავის საუკეთესო წლებში თამაშობდა ლამაზ და კომბინაციურ ჩოგბურთს. ვიქტორი უაღრესად ნიჭიერი პიროვნება იყო — მშვენივრად თამაშობდა ბილიარდს, ბრწყინვალედ გამოიყურებოდა სამთოთხილამურებში. ბოლოს, 1956 წელს წარმატებით გამოვიდა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე. მაგრამ სპორტული რეჟიმის მუდმივად დარღვევებმა უმძიმეს შედეგებამდე მიიყვანა. სიცოცხლის ბოლო წლებში ის უბრალოდ არსებობდა და ძალიან საბალალო იყო ასეთი კაცის ხილვა, რომელიც თავის დროზე ამდენ სიამოვნებას ანიჭებდა ჩოგბურთის მრავალრიცხოვან გულშემატკივრებს.

გივი კოკაიას და ვიქტორ ურაევსკის გვერდით თამაშობდნენ ისეთი ცნობილი ჩოგბურთელები, როგორებიც იყვნენ ოლეგ თინიკაშვილი (1928), რეზო ფანცხავა (1931), ოთარ ჭარხალაშვილი (1932-1984), გრიგოლ ღარიბაშვილი (1933), გურამ თოხაძე (1934), ალექსი ვერულავა (1936-2000).

ოლეგ თინიკაშვილი იყო კარგი ფიზიკური მონაცემების ჩოგბურთელი. 1952 წელს საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში დაიკავა მე-2 ადგილი. ოლეგი პროფესიით ჟურნალისტია. და ახლაც ჩვენ ხშირად ვკითხულობთ ნიჭიერი კალმოსნის საინტერესო სტატიებს სხვადასხვა თემაზე.

რეზო ფანცხავა 1948 წელს გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის. მაგრამ შემდგომში თავისი ცხოვრება დაუკავშირა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას, სადაც დიდხანს მუშაობდა წამყვან სპეციალისტად.

ოთარ ჭარხალაშვილი იყო შესანიშნავი სპორტსმენი და პედაგოგი. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. კლასიკური ჩოგბურთის ტიპიური წარმომადგენელი. ბევრი გააკეთა მწვრთნელთა კადრების მომზადებაში.

გრიგოლ ღარიბაშვილი გამოირჩეოდა შესანიშნავი ტაქტიკით და სტრატეგიით. საბჭოთა კავშირის 1952 წლის თასის გათამაშების „ვერცხლის“ პრიზიორმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა აღზარდა ბევრი კარგი სპორტმენი. მისი შეგირდი ნინო ლუარსაბიშვილი 1993 წელს გახდა მსოფლიო ჩემპიონი გოგონათა შორის.

გურამ თოხაძე საქართველოს მწვრთნელთა სკოლის შესანიშნავი წარმომადგენელია. მისი საუკეთესო მოსწავლეები ქართული ჩოგბურთის ტრადიციების ღირსეული მემკვიდრეები გახდნენ. ესენია: დავით კაჭარავა, მაკა ჩახნაშვილი, ირაკლი უშანგიშვილი და, რა თქმა უნდა, ლელა მესხი, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი ქალი გახდა.

ალექსი ვერულავა ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურაა ქართულ ჩოგბურთში. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი. გამოირჩეოდა განსაკუთრებული მედგრობით და გამარჯვებისადმი ლტოლვით. ბევრი გააკეთა თეიმურაზ კაკულიას ოსტატად ჩამოყალიბებაში. წლების განმავლობაში მწვრთნელად მუშაობისას მან აღზარდა ბევრი კარგი ჩოგბურთელი.

ჩოგბურთელების შემდეგი თაობებიდან განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ***მერაბ კერესელიძე (1939), ვლადიმერ პერეგუდოვი (1946), ვლადიმერ ოსიპოვი (1952), გია ელერდაშვილი (1958)*** და, რა თქმა უნდა, თეიმურაზ კაკულია (1947). მერაბ კერესელიძე იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის თბილისის და თბილისის „დინამოს“ ნაკრები გუნდების შემადგენლობაში. ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ვლადიმერ პერეგუდოვი საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი. მოიპოვა სენსაციური გამარჯვება 1975 წლის საქართველოს სპარტაკიადაზე, მაშინ, როცა შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ალექსანდრე მეტრეველი და თეიმურაზ კაკულია.

ვლადიმერ ოსიპოვი — მოძრავი და ფიზიკურად ძლიერი მოთამაშე, საქართველოს ჩემპიონი და საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი. სხვადასხვა მიზეზის გამო, ადრე დაასრულა თავისი სპორტული კარიერა.

გია ელერდაშვილი — ცნობილი ქართული ჩოგბურთელის ვანო ელერდაშვილის ვაჟი. ყველა საჩოგბურთო ილეთს ბუნებრივად და ძალდაუტანებლად ასრულებდა. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი, საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში წარმატებით გამოდიოდა საერთაშორისო შეჯიბრებებში. ბოლომდე ვერ გამოავლინა თავისი ბუნებრივი ნიჭი.

თეიმურაზ კაკულია — უნივერსალური, კლასიკური სტილის მოთამაშე. საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი წყვილთა თანრიგში, 1976 წლის ევროპის ჩემპიონი. „დევისის თასის“ გათამაშებაში მოიპოვა რამდენიმე სენსაციური გამარჯვება. სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. მრავალი წლების განმავლობაში ლეილა მესხის პირადი მწვრთნელი. აქ არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩემი ბათუმელი მეგობრები ***ნიაზ ყორდანია (1943-1995)*** და ***ვლადიმერ ახალაია (1948).*** თბილისში სწავლისას ისინი მარჯანიშვილის კორტებზე ვარჯიშობდნენ და კარგ შედეგებს მიაღწიეს. ნიაზი გახდა სპორტის ოსტატი, შემდეგ ბათუმში დაბრუნდა და მწვრთნელად განაგრძო მუშაობა. ვოვა აგრეთვე გახდა სპორტის ოსტატი და 1966 წელს მოიგო თბილისის ზამთრის ჩემპიონატი, სადაც თითქმის ყველა უძლიერესი ჩოგბურთელი მონაწილეობდა. ვოვა იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი ჭაბუკთა შორის. ახლა ნაყოფიერად მუშაობს მწვრთნელად ბათუმში.

სამწუხაროდ, ერთი წერილის ფარგლებში არ არის შესაძლებელი დაწვრილებით გიამბოთ ყველა იმ ჩოგბურთელზე, რომლებიც მტკვრის მარცხენა ნაპირზე გაიზარდნენ. ყველა ისინი ქართული ჩოგბურთის ამაგდარი წარმომადგენლები არიან — ***ლილი აირაპეტოვა, მარგო იანვარაშვილი, ლიუდმილა რიაზანოვა, ნელი ზამბახიძე, ტატიანა ელჩანინოვა, ადა ბურჯანაძე, ძმები დუგლას და ვაჟა ომიაძეები, არჩილ კიკნაძე, ლეო ვაჩეიშვილი, დიმა ახვლედიანი, ვალოდია კოლმანოვი, ნოდარ ხალვაშიძე, დიტო შალამბერიძე, კონსტანტინე კლდიაშვილი, ომარ კერესელიძე, თენგიზ ვარხომაშვილი, ვალოდია პანასიანი, ნოდარ ბარნაბიშვილი, ერიკ ივანოვი, ალექსი ბაქრაძე, ბადრი ხურმავა, არტემ მალაიანცი, ხურენ ხაჩატურიანი, დიმა ურაევსკი, ძმები პეტრე და ვიქტორ აბაშკინები, ვალერა გუნჩინი, გოგა ეგნატაშვილი, ივანე გოგილაშვილი, გუგული სიბაშვილი.***

ახლა ჩოგბურთის მოყვარულები ახალი, ნიჭიერი ოსტატების გამოჩენას ელოდებიან, რომლებიც ღირსეულად გააგრძელებენ წინამორბედების საამაყო ტრადიციებს. ვგრძნობ ეს მალე უნდა მოხდეს, გვარებს არ დავასახელებ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საჩოგბურთო ცხოვრება მტკვრის მარცხენა ნაპირზე გრძელდება.

და ბოლოს კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ ის ადამიანები, რომლებსაც დიდი ღვაწლი მიუძღვით მტკვრის მარცხენა ნაპირზე საჩოგბურთო ცხოვრების დამკვიდრებაში — ***იანი ჰომერი (1898-1981), არამ ხანგულიანი (1901-1974), ვახტანგ დიდიძე (1912-1991), ვიქტორ კანდელაკი (1906-1988), მარიამ კლდიაშვილი (1914-1997), ვლადიმერ სერებრენიკოვი (1912-1967), იურა გეგელაშვილი (1917-1999), ესპერ მერეკიული (1907-1966).***

ვლადიმერ ბოგლიძე,
საქართველოს
დამსახურებული მწვრთნელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

გაგრძელდება უარშანდელი ფინალი?

მაისის დამდეგს ჩვენშიც იმძლავრა საფეხბურთო, სათასო ნახევარფინალების ქარიშხალმა. უარშანდელი ფინალისტები – „ლოკომოტივი“ „მერანს“ მასპინძლობდა, „ტორპედო“ კი „ვიტ ჯორჯიას“. სტუმრად მცხეთაში ეწვია. თბილისურ გუნდებს ჩემპიონატიდან მოყოლებული ძველი ანგარიშები აქვთ გასასწორებელი. გამონაკლისი არც თასის ნახევარფინალი იყო. გადაუღებელი წვიმისა და სველი მინდვრის მიუხედავად, მატჩი სწრაფ ტემპში წარიმართა. სახიფათო მომენტები ორივე კართან მრავლად იქმნებოდა. ამჯერად, უფრო იღბლიანები რკინიგზელები გამოდგნენ და ჩემპიონატში განცდილი მარცხისთვის სრული რევანში აიღეს. კაიდარაშვილისა და დათვაძის გოლებს მერანელებმა ვერაფრით უპასუხეს. „ლოკომოტივმა“ 2-0 მოიგო და განმეორებითი მატჩისთვის სანერვიულო და საფიქრალი მეტოქეს გადაულოცა. უნდა ვივარაუდოთ, რომ რკინიგზელთა ორბურთიანი უპირატესობა, მათ დამშვიდების საბაბს ჯერ მაინც არ აძლევს, „მერანი“ კერკეტი გუნდია და შინ შეეცდება ეს დეფიციტი შეავსოს. თუმცა, ეს ძნელი იქნება, რადგან ავჭალის ბინადარნი საპასუხო მატჩს შესუსტებული შემადგენლობით ითამაშებენ, ამის მიზეზი ფეხბურთელთა დისკვალიფიკაციაა.

სახიფათო ეპიზოდებისა და ლამაზი გოლების ნაკლებობა არც მეორე შეხვედრაში იყო, მაგრამ უარშანდელმა ჩემპიონმა და წლევანდელმა ერთპიროვნულმა ლიდერმა ქუთაისის „ტოროპედომ“ მცხეთის ატალახებულ მინდორზე, მაინც მოახერხა სასურველი ანგარიშით მატჩის დასრულება, მოიგო და ცალი ფეხით ფინალშია. ვიტელებმა იბრძოლეს, დაწინაურებულ მეტოქეს ანგარიშიც გაუთანაბრეს, მაგრამ ჩემპიონატის ერთ-ერთი ბომბარდირის იონანიძის ოსტატურად შესრულებულ საჯარიმოს გოლით ვეღარ უპასუხეს და დამარცხდნენ. მატჩის მიწურულს ჯერ მელქაძეს, მერე ადამიას შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ ერთხელ ზოიძემ იმარჯვა. მეორე დარტყმა კი მცირედით ასცდა კარს. „ტორპედომ“ გასვლითი მატჩი მოიგო და ფინალში მონაწილეობის მეტი შანსი აქვს.



საქართველოს თასი

1/2 ფინალის პირველი მატჩები

მეორე შეხვედრა ხომ ქუთაისში გაიმართება.

მიუხედავად „ლოკომოტივისა“ და „ტორპედოს“ გარკვეული უპირატესობისა, საპასუხო შეხვედრებს ინტერესი არ დაუკარგავს. სათასო მატჩების საბოლოო შედეგების წინასწარმეტყველება ძნელია და გაუმართლებელი. ორ კვირაში ყველაფერი გაირკვევა და ფინალისტებიც გვეცოდინება.

მიხეილ საბახტარაშვილი

ტექნიკური შედეგები

ლოკომოტივი — მერანი 91 2-0

ლოკომოტივი: ასლანაძე, ონიანი, ცხადაძე, შელია, სალუქვაძე, ბაქრაძე, ბალაშვილი, ანჩაბაძე, დათვაძე, გოგიჩაიშვილი (გილაური 86), კაიდარაშვილი.

მერანი: კოროშინაძე, გოგიტაძე, გუჯაბიძე, დავითნიძე, ცქიფურიშვილი, მუხინი, ჩხაიძე (კოშკაძე 72), დევიძე, კვეკვესკირი (ბაჯელიძე 52), დ. გოდერძიშვილი, მინაშვილი (ხუციშვილი 78).

გოლები: 1-0 კაიდარაშვილი (10), 2-0 დათვაძე (84 პ).

გააფრთხილეს: გუჯაბიძე, ბაჯელიძე, დავითნიძე, მუხინი, კოშკაძე, გოგიჩაიშვილი, დათვაძე.

გააძევეს: დავით ჯიშკარიანი (მერანის მწვრთნელი)

მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

ვიტ ჯორჯია — ტორპედო 1-2

ვიტ-ჯორჯია: მერლანი, თ, კობიაშვილი, ჭანკოტაძე, საჯაია, ჯ. მუჯირი (ვ. გოჩაშვილი, 79), დიღმელაშვილი, ლაშა ნოზაძე, გოგობერიშვილი, ჟფიანი (სულთანიშვილი 81), წუწუნავა (ადამია 67), მელქაძე.

ტორპედო: ზოიძე, აბრამიძე, ლევან სილაგაძე, თოდუა, მახვილაძე, დიდავა, (ხვადაგიანი 23), არჩვაძე (ჩხეტიანი 79), კვეტენაძე (ბობოხიძე 69), ჯინჭარაძე, აშვეთია, იონანიძე.

გოლები: 0-1, თოდუა (13), 1-1 გოგობერიშვილი (38), 1-2 იონანიძე (75).

გააფრთხილეს: აშვეთია, კობიაშვილი.

მსაჯი: კ. მესხი (ზუგდიდი)

საგანგებო კომიტეტის გადაწყვეტილება საგანგებოა

ეს გადაწყვეტილება მარტო ამ ორ გუნდს არ ეხება, იგი ყველასათვის მწარე გაკვეთილი უნდა იყოს. ეროვნული ჩემპიონატის სიწმინდე უნდა დავიცვათ. ასეთი პათოსით წარიმართა სფფ-ს საგანგებო კომიტეტის გუშინდელი სხდომა.

ვერდიქტი კი ასეთია: ჩემპიონატის V ტურის „მერანი“ – „კოლხეთი 1913“-ის მატჩში დაირღვა ფეარ-ფლეის პრინციპი, მატჩში არ იგრძნობოდა სპორტული სულისკვეთება, რაც გარიგების ტოლფასია. მატჩის შედეგი გაუქმდა, ფოთის კოლხეთს ჩამოაკლდა ამ მატჩში მოპოვებული 3 ქულა, თბილისის „მერანს“ არასპორტული საქციელისთვის დააკლდა 3 ქულა, ორივე კლუბს მიეცა პირობითი დისკვალიფიკაცია სეზონის ბოლომდე, „მერანს“ დაეკისრა 5000 ლარის ფულადი ჯარიმის გადახდა.

ფეხბურთის ფედერაცია დაუნდობლად შეებრძოლება სამართლიანი თამაშის პრინციპების უარყოფას.

ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

სადისციპლინო კომიტეტის კოლეგიაზე

ერთხილად, ხომ იცით, მსაჯის შეურაცხყოფა არ შეგრჩებათ...

მატჩის არბიტრის ცემა საკუთარი უსუსურობის დამტკიცება უფროა, ვიდრე მტყუან-მართალის დადგენის სურვილი. ასე გამოუვიდათ წნორის „მილანის“ მესვეურებს და ფეხბურთელს. მილანელ პაატა გამცემლიძეს ავთანდილ შალამბერიძის ცემა ძვირად დაუჯდა. ფეხბურთელი თორმეტი თვე ვეღარ ითამაშებს და 1000 ლარი ჯარიმას გადაიხდის. ფეხბურთელის დასაცავად მინდორზე შეჭრილი კლუბის მენეჯერი მარიამ ფირცხალაიშვილი კოლეგიამ უკანასკნელად გააფრთხილა. თავშეკავება „მერანის“ მწვრთნელებსაც მართებთ. ოთარ გაბელიას „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩში მსაჯმა „ტკბილი სიტყვებისთვის“ ტრიბუნისკენ მიუთითა, კოლეგიამ ისიც გააფრთხილა. ნისი თანაშემწის დავით ჯიშკარიანის საკითხი, ანალოგიური საქციელისთვის „ლოკომოტივთან“ ნახევარფინალურ მატჩში მისი გამოუცხადებლობის გამო გადაიდო.

ხაშურის „ივერიის“ კეთილმსურველთა მსაჯებთან კამათის გამო გუნდი გააფრთხილეს. ცალკეული ფეხბურთელების სასჯელი კი ასეთია: მაყურებლის გინებისთვის მინდვრიდან გააძევეს ლოკომოტიველი დავით ჭიჭვეიშვილი. იგი ერთი მატჩითაა დისკვალიფიცირებული და 50 ლარს გადაიხდის. „თბილისის“ ფეხბურთელი ირაკლი სახურია ორი ყვითელი ბარათის გამო გააძევეს, ისიც ერთ მატჩს ვერ ითამაშებს და 50 ლარს გადაიხდის.

საბა ლომინაძე

ნონა გაფრინდაშვილს!

ჩვენო სახელოვანო ქალბატონო!
საქართველოს საფეხბურთო სამყაროსთვის თქვენ ბრძანდებით გამორჩეული პიროვნება, რომელიც ათეული წლებია ერთგული და თანმიმდევრული გულშემატკივრობით აღაფრთოვანებთ ჩვენს ფეხბურთელებს, ქვეყანას აძლევთ ეროვნული ფეხბურთისადმი თანადგომის მისაბაძ მაგალითს.

სულითა და გულით გილოცავთ ღირსეულ იუბილეს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

VII ტურის ანონსი

საჩემპიონო რბოლა გრძელდება

სათასო პაექრობებიდან ისევ ჩემპიონატს დავუბრუნდეთ. ხვალ მორიგი ტურია, რომელიც სატურნირო ცხრილში, ალბათ უფრო მეტ სიცხადეს შეიტანს. სამივე ლიდერი შინ ითამაშებს. „ტორპედო“ და „ვიტ ჯორჯია“ მინდორს გაცვლიან, ახლა მასპინძლები ქუთაისელები იქნებიან. ორივე გუნდს კიდევ ერთხელ მიეცემა ერთმანეთის დაკვირვებისა და უკეთ შესწავლის საშუალება. თბილისის „დინამო“ ეროვნულზე „მერანს“ ეთამაშება, „ლოკომოტივი“ — ფოთის „კოლხეთს“. ფავორიტების გამოცნობა ძნელია, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ქულათა მარაგის შევსება არავის აწყენს, რაც ერთიორად ზრდის მატჩებისადმი ინტერესს.

... დაწინაურებულ სამეულს შეუძლია შინაური კედლებით ისარგებლოს და წინსვლა განაგრძოს, თუმცა მათი მეტოქეების ამბიციაც გასათვალისწინებელია. უბრძოლველად არავინ არაფერს დათმობს. „ტორპედო“ ჩემპიონობისკენ კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამს, „ლოკომოტივი“ და „დინამო“ კი მის წამოწევას შეეცდება. დანარჩენებზე ზევით ვთქვით.

ქვედა ექვსეულში, დიდ ინტერესს იწვევს „გორდა“ — ბათუმის „დინამოს“ მატჩი, გორში „დილა“ თსუ-ს მასპინძლობს, ამ შეხვედრებში ბევრი რამ გადაწყდება, ფაქტობრივად, თამაში სამი კი არა, ექვსი ქულისთვის იქნება. მშვიდად თავი მხოლოდ „სიონს“ შეუძლია იგრძნოს. იგი ხომ უკვე კარგახნის ჩამოწერილ „იბერიას“ მიიღებს და ალბათ სამი ქულით შეივსებს ყულაბას.

მსაჯები, ინსპექტორები

ტორპედო — ვიტ ჯორჯია: მთავარი მსაჯი — ა. კრიჭაშვილი, ასისტენტები — ჯვარიძე, ურუშაძე, მეოთხე მსაჯი — ანიაშვილი, ინსპექტორი — ბ. ქარქაშაძე.

დინამო (თბ) — მერანი 91: მთავარი მსაჯი — მ. მალაღურაძე, ასისტენტები — სილაგავა, ბრეგვაძე, მეოთხე მსაჯი — ფანიაშვილი, ინსპექტორი — ა. დურსუნიში.

ლოკომოტივი — კოლხეთი 1913: მთავარი მსაჯი — ა. შილაკაძე, ასისტენტები — დოლიძე, ი. შალამბერიძე, მეოთხე მსაჯი — ს. კვარაცხელია, ინსპექტორი — გ. ფირცხალავა.

სიონი — იბერია: მთავარი მსაჯი — ა. ორდინიძე, ასისტენტები — ელიკაშვილი, ჩოჩიშვილი, მეოთხე მსაჯი — ბუიშვილი, ინსპექტორი — ნ. კაკულია.

გორდა — დინამო (ბთ): მთავარი მსაჯი — დ. სანაია, ასისტენტები — სამხარაძე, ცირდავა, მეოთხე მსაჯი — მიქელაძე, ინსპექტორი — მ. ლაცაბიძე.

დილა — თსუ: მთავარი მსაჯი — პ. დოგრაშვილი, ასისტენტები — გაბრიაძე, რუსიშვილი, მეოთხე მსაჯი — კიკაჩეიშვილი, ინსპექტორი — ი. მჭედლიშვილი.

გათამაშების ცხრილები

I–VI ადგილები

ტორპედო	6	4	1	1	8-4	37
ლოკომოტივი	6	1	2	3	4-7	33
დინამო (თბ.)	6	1	4	1	7-7	31
ვიტ ჯორჯია	6	3	1	2	10-7	29
კოლხ.-1913	6	2	0	4	6-10	22
მერანი91	6	1	2	3	1-7	18

შენიშვნა: „კოლხეთსა“ და „მერანს“ დაკლებული აქვთ 3 ქულა.

VII–XII ადგილები

დინამო (ბთ)	6	3	2	1	7-2	25
სიონი	6	3	2	1	10-7	21
თსუ	6	3	0	3	7-10	19
გორდა	6	3	0	3	8-9	18
დილა	6	2	1	3	9-6	16
იბერია	6	0	1	5	5-18	3

პირველი ლიგა, VII ტური

მილანი — მეტალურგი: მთავარი მსაჯი — კ. მესხი.
გურია-ლოკომოტივი 2 — შუქურა: მთავარი მსაჯი — მ. მაისურაძე.
ცხინვალი — სამგურალი: მთავარი მსაჯი — ს. კვარაცხელია.
თბილისი — კოლხეთი (ხ): მთავარი მსაჯი — ა. კიკაჩეიშვილი.
ოკეანე — თორი: მთავარი მსაჯი — ა. შალამბერიძე.

პირველი ლიგა, VI ტური

I-VI ადგილები

სამგურალი — შუქურა 2-0
მეტალურგი — გურია — ლოკ2 1-1
ცხინვალი — მილანი 0-0

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
გურია-ლოკ2	6	3	2	1	7-5	32
მილანი	6	3	1	2	9-3	31
სამგურალი	6	3	2	1	6-2	31
მეტალურგი	6	2	2	2	6-7	29
ცხინვალი	6	1	2	3	3-8	25
შუქურა	6	0	3	3	2-8	23

VII-XII ადგილები

კოლხეთი — თორი 4-0
ივერია — ოკეანე 4-0
თბილისი — დინამო (ზ) 3-0

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
კოლხეთი (ხ)	6	4	1	1	12-3	26
თორი	6	3	1	2	7-6	25
თბილისი	6	4	0	2	7-4	21
ოკეანე	6	2	3	1	8-7	19
ივერია	6	2	1	3	9-7	15
დინამო (ზ)	6	0	0	6	0-16	12

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონები ფეხბურთში

რეგიონული ლიგა.

დასავლეთის ზონა

XVIII ტური

მერცხალი — კოლხეთი 1-3
სამეგრელო — დინამო (ბთ) 1-0
დინამო (სოხ) — ინტერი 1-1
სქური — სალხინო 3-0
ლაზიკა — გურია2 5-3
მზიური — სულორი 3-1

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ლაზიკა	18	14	2	2	62-28	44
მზური	18	13	3	2	46-21	42
სქური	18	12	3	3	41-16	39
კოლხეთი2	18	9	5	4	27-14	32
ინტერი	18	8	5	5	36-16	29
დინამო (ბთ)	18	7	5	6	26-23	26
დინამო (სოხ)	18	6	5	7	27-24	23
მერცხალი	18	5	3	10	21-30	18
სამეგრელო	18	4	4	10	16-35	16
სულორი	18	4	2	12	19-55	14
გურია2	18	3	3	12	29-56	12
სალხინო	18	1	4	13	14-46	7

შენიშვნა: ჩემპიონატიდან მოხსნილია „სალხინო“.

აღმოსავლეთის ზონა

XVIII ტური

სამგორი — შსს აკადემია (გადაიდო)
ჭაბუკიანი — ლოკომოტივი3 0-0
ზოოვეტი — კავკასიონი 5-0
ალაზანი — თბილისი2 3-0
ცხუმი — ხალიბი 1-1

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ლოკომოტ.3	17	13	3	1	37-10	42
აკადემია	16	12	3	1	33-10	39
ჭაბუკიანი	16	11	3	2	43-12	36
ხალიბი	16	8	4	4	28-20	28
ცხუმი	17	8	4	5	20-13	28
ალაზანი	17	8	2	7	32-24	26
ზოოვეტი	16	5	2	9	20-21	17
თბილისი2	16	4	2	10	18-35	14
ასკ	16	3	0	13	21-42	9
სამგორი	15	2	2	11	11-39	8
კავკასიონი	16	2	1	13	15-52	7

შენიშვნა: ჩემპიონატიდან საწევროს გადაუხდელობის გამო მოიხსნა „თბილისი2“.

ცენტრალური ზონა

VIII ტური

ვიტ ჯორჯია2 — საბურთალო 3-0
ს.ა. იბერია — დილა2 6-1
მრეტები — ამირანი 1-2
ვარძია — დინამო2 0-3
ვალენსია — ოლიმპიკი 0-3

დინამო2	17	12	2	3	47-12	38
ამირანი	16	12	1	3	31-15	37
ვიტ ჯორჯია	17	10	4	3	39-14	34
ს.ა. იბერია	16	7	8	1	36-14	29
ოლიმპიკი	16	8	0	8	26-16	24
მესხეთი	16	6	3	7	17-24	21
დილა2	17	5	4	8	22-34	19
მრეტები	17	4	5	8	13-23	17
ვარძია	16	4	4	8	14-23	16
ვალენსია83	16	4	3	9	16-33	15
საბურთალო	16	0	2	14	4-57	2

შენიშვნა: ჩემპიონატიდან საწევროს გადაუხდელობის გამო მოიხსნა „ვალენსია83“ და „საბურთალო“.

ბავშვთა ლიგა. V ტური

ვაკე91 — ლოკომოტივი (სამტრედია) 4-1
კახეთი (თელავი) — შევარდენი 1906 4-1
დინამო (ბათუმი) — ავაზა 1-0
კოლხეთი (ფოთი) — შევარდენი (ქუთაისი) 1-1
მთ. გლობუსი — ხალიბი (რუსთავი) 1-1
ტონთიო (გორი) — ლაზიკა (ზუგდიდი) 8-2

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
კოლხეთი	5	3	1	1	7-5	10
დინამო	4	3	1	0	5-2	10
ლოკომოტივი	5	3	0	2	6-8	9
ვაკე91	4	3	0	1	8-4	9
შევარდენი	5	2	3	0	5-3	9
ხალიბი	4	2	1	1	8-4	7
კახეთი	5	2	0	3	6-9	6
შევარდენი06	4	1	2	1	5-5	5
ავაზა	5	1	1	3	6-6	4
ლაზიკა	5	1	0	4	3-11	3
მთვ. გლობუსი	[illegible]	1	1	3	3-6	4
ტონთიო	5	1	0	4	11-10	3

ჩემპიონთა ლიგა ესპანური ფინალის მოლოდინში?

პირველი ნახევარფინალური მატჩები

«რეალი» (ესპანეთი) — «ბაიერნი» (გერმანია) 0–1

რეალი: კასილიასი, სალგადო (მუნიტისი, 77), რ. კარლოსი, კარანკა, იერო, ელგერა, მეკელელე, მაკმანამანი, ფიგუ, რაული, გუტი (სავიო, 54).
ბაიერნი: კანი, კუფური, ანდერსონი, ლინკე, სანიოლი, ლიზარაზუ, იერემისი, სალიჰამიჯიჩი, ეფენბერგი, შოლი (პაულო სერჟიო, 72), ელბერი (იანკერი, 74).
გოლი: 0-1 ელბერი (55).
გააფრთხილეს: კანი, ეფენბერგი, მუნიტისი, იერო.
მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია).

რამ განაპირობა გერმანელთა გამარჯვება? ტრადიციულმა ცივსისხლიანობამ, მაღალმა კლასმა თუ იღბალმა? ალბათ, ყველაფერმა ერთად. „ბაიერნს“ ჰყავდა კანი, დღეს მსოფლიოში საუკეთესო მეკარე, კაპიტანი ეფენბერგი, რომელიც თამამად შეიძლება ითქვას, ნახევარი გუნდია და ელბერი, მუდამ მეტოქის კარისკენ შემართული თავდამსხმელი. რა დაუპირისპირა მათ „რეალმა“? ლაღი, საამო საცქერი თამაში. უმწვავესი შეტევები, მაგრამ იმ დღეს გერმანელთა დამთრგუნველი ესპანელები არ იყვნენ. თითოეული ეპიზოდის აღწერით თავს არ შეგაწყენთ. გულშემატკივრებმა ისედაც ყველაფერი თავად ნახეს და გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, სუპერ გუნდების სუპერ მატჩმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ჩემპიონთა ლიგაში ამ გუნდების მე-11 პაექრობა გერმანელებმა მოიგეს. მაგრამ გუნდების სათამაშო კლასს თუ გავითვალისწინებთ, ჯერ არაფერია ცნობილი, წინ კიდევ ერთი მატჩია, ყველაფერი მიუნხენში გაირკვევა. საპასუხო მატჩის მასპინძლებს არ ეყოლებათ ეფენბერგი, ეს კი სერიოზული დანაკლისია. ერთ კვირაში ვნახავთ აიღებენ თუ არა ბავარიელები სრულფასოვან რევანშს რეალთან, როგორც „მანჩესტერ იუნაიტედთან“.

«ლიდსი» (ინგლისი) — «ვალენსია» (ესპანეთი) 0–0

ლიდსი: მარტინი, მილსი, ფერდინანდი, მატეო, ჰარტი, ბოიერი, ბეტი, დაკური, კიუელი, ვიდუკა, სმიტი.
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, აიალა, კარბონი, ანგლომა, მენდიეტა, ალბელდა, ბარახა, კარეუ, ხუან სანჩესი (ზაჰოვიჩი, 66), კილი გონსალესი (ვისენტე).
გააფრთხილეს: ბარახა, კარბონი.
მსაჯი: პიერ ლუიჯი კოლინა (იტალია).

„ლიდსის“ მთავარი მეწვრთნელი დევიდ ო'ლეირი

გულშემატკივარი გულგრილი არც მეორე ნახევარფინალურ მატჩს დაუტოვებია. „ლიდსისა“ და „ვალენსიას“ ჭიდილში ფეხბურთის მიმზიდველობა სრულად აისახა. თავდამსხმელთა შეუჩერებელ შეტევებს მცველთა და მეკარეთა თავგანწირვა ენაცვლებოდა. მატჩი ნულოვანი ფრით კი დასრულდა, მაგრამ ეს შეხვედრა ის გამონაკლისია, როდესაც 0-0-ის მიუხედავად, მატჩს უფერულს ნამდვილად ვერ უწოდებ. აქაც გარკვეული არაფერია. განმეორდება შარშანდელი ესპანური ფინალი თუ არა, 8-9 მაისს შევიტყობთ. ეგ არის, „რეალისგან“ განსხვავებით, ვალენსიას მეტი შანსი აქვს ლიგის ფინალში ისევ მოხვდეს.

საპასპორტო სკანდალები ევროპაში

ახლანდელი საფეხბურთო სეზონი ევროპაში „საპასპორტო“ სკანდალების სერიით აღინიშნა, რომელშიც დსთ-ს ქვეყნებიც იყვნენ გარეულნი. გაირკვა, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ათეულობით ბერძნული და პორტუგალიური პასპორტი გაიცა არამარტო ბერძნებსა და პორტუგალიელებზე...

წინაპრების ნაკვალევს ეძებენ

რატომ მოხდა ისე, რომ ფეხბურთელებმა წინაპრების მისაკვლევად საზღვარგარეთი ამოიღეს მიზანში?

ამაში გარკვეულწილად ბრალი მიუძღვის საფეხბურთო ჩე გევარას — ჟან მარკ ბოსმანს, რომელიც საერთო ბაზრის წევრ ქვეყნებში ცდილობდა თანამემამულეთათვის სარფიანი გარიგებები მოეტანა. ცნობილი „რევოლუციონერი“ არც დაეჭვებულა, რომ ერთი უსამართლობის თავიდან მოცილება წარმოშობდა მეორეს, უფრო სერიოზულს. როგორღაც ვერ ჩაუფიქრდა, რომ ევროპელებთან ერთად არიან აფრიკელებიც, ლათინელებიც, ინდიელებიც, დ აბოლოს, აღმოსავლეთ ევროპის მაცხოვრებლები, რომელთაც ასევე სურთ ითამაშონ წამყვან კლუბებში. დამნაშავენი არიან ფეხბურთისგან შორსმყოფნი ევროპის კავშირიდან, რომელთაც არაფერი ესაქმეებათ ამ თამაშში. მთავარია, კანონი არ დაირღვეს. დამნაშავეა უეფა პრეზიდენტ იუჰანსონის თავკაცობით, რომელმაც ეს „აბი“ გადაყლაპა.

მას მერე, რაც ბოსმანმა დამარცხების ტოლფასი გამარჯვება მოიპოვა, იმ ქვეყნების მცხოვრებნი, რომელთაც გაუმართლა და რომელიმე ევროპის ეკონომიკური კავშირის სახელობის ელიტარულ კლუბში მოხვდა, მას უცხოელად აღარავინ თვლიდა ამ კავშირის ფარგლებში. მათზე კი, ვისაც არ გაუმართლა, ისევ ვრცელდება უცხოელთა ლიმიტი. ამით ევროპა ანტიკურ ხანას დაუბრუნდა. ითვლება, რომ რომის მცხოვრებნი დაყოფილნი იყვნენ პატრიციებად — ძირითადი მოსახლეობა, რომელსაც ყველა უფლება ჰქონდა, და პლებეებად — მოსულები, უცხოები, რომელთა უფლებები საგრძნობლად შეზღუდული იყო. ამ ორ კატეგორიასთან ერთად არსებობდა მესამეც — კლიენტები.

ძველ რომში კლიენტებად იწოდებოდნენ ის პლებეები, რომლებიც პატრიციების მფარველობაში მოექცნენ და მათი გვარიშვილობაც მიიღეს.

ჟან-მარკ ბოსმანი

კლიენტები იერარქიაშიც პლებეებზე მაღლა იდგნენ.

და აი, „კლიენტმა“ პირველქმნილი მნიშვნელობა მიიღო. იმ ქვეყნების მოქალაქეებმა, რომლებიც ევროპის კავშირში არ შედიან, რას არ მიმართეს ამ კავშირში შესასვლელად. პირველთაგანნი აღმოჩნდნენ არამარტო ბრაზილიელები და არგენტინელები თავიანთი მრავალრიცხოვანი ნათესავებით, აგრეთვე რუსეთელი სერგეი იურანი და ალექსანდრ მოსტოვოიც, რომელთა მეუღლეები საჭირო ქვეყნების მოქალაქეები არიან. მაშ, რა ქნან მათ, ვისაც საზღვარგარეთულ ნათესაობაში არ გაუმართლა? — უნდა ეძებონ. ჰოდა, ევროპაში გაჩნდნენ ჩასული პორტუგალიელები, რომაელებიცა და ელინელთა შთამომავლები და დაიწყო მათი მასობრივი გამოაშკარავება.

ნუზარემ წამოიწყო

იმ ფეხბურთელებს, რომლებიც არ განეკუთვნებიან ევროპის კავშირს და საპასპორტო კანონის დარღვევაში არიან გარეულნი, საფრანგეთში აეხადა ფარდა. იგი წამოიწყო „ტულუზის“ მწვრთნელმა რობერ ნუზარემ, რომელმაც ყალბ პასპორტებთან დაკავშირებით აღიმაღლა ხმა. „სენტეტიენიდან“ განთავისუფლებულმა ნუზარემ, „ტულუზა“ რომ ჩაიბარა, თავის ყოფილ გუნდთან „ტულუზის“ დამარცხების შემდეგ დასვა კითხვა, თუ რატომ გამოდიოდა მეტოქის რიგებში ოთხი კაცი, რომელთაც არაფერი საერთო აქვთ ევროპის კავშირთან, მაშინ, როდესაც სამს აქვს უფლება. აქ გაირკვა ფაქტი, რომ გამარჯვებულთა მეკარე უკრაინელი მ. ლევიცკი და ბრაზილიელი ფორვარდი ალექსი საფრანგეთის ფეხბურთის ლიგის საბუთებით საბერძნეთისა და პორტუგალიის ქვეშევრდომებად ითვლებიან. ამასთან, მათი საბუთების იურიდიული კანონიერება დიდ ეჭვს იწვევდა.

აქვე, ცეცხლზე ნავთი დაასხა მეორე დივიზიონის კლუბ „ნანსის“ ხელმძღვანელობამ. მან მოითხოვა დაუბრუნონ პირველ დივიზიონში გამოსვლის უფლება. გუნდის პრეზიდენტმა ეს მოთხოვნა იმით ახსნა, რომ 1999/2000 სეზონში „სტრასბურში“ 22 მატჩი ითამაშა არგენტინელმა დიეგო გარაიმ, რომელსაც შემდეგ ყალბი იტალიური პასპორტი აღმოაჩნდა. ფეხბურთელი გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში საბაჟო სამსახურმა დაიკავა მისი კლუბის აზიის ტურნედან დაბრუნებისას. „სტრასბურმა“ სახელდახელოდ, სრულიად საიდუმლოდ მოახერხა არგენტინელი იჯარით გადაეცა კლუბ „ტალიერესისათვის“, და ამით მიჩქმალა კონფლიქტი.

ყველაფერმა ამან აიძულა საფრანგეთის საფეხბურთო ლიგის ხელმძღვანელობა, რომ საქმე უფრო შორს არ წასულიყო, ადეკვატური ნაბიჯები გადაედგა. ლიგის იურიდიულმა კომიტეტმა გამოაცხადა, რომ პირველი და მეორე დივიზიონის 78-ვე უცხოელი ფეხბურთელის პასპორტებს გამოიკვლევს და საბუთების ფალსიფიკაციის შემთხვევაში კლუბები მკაცრად დაისჯებიან.

დასჯილთა შორის პირველები ლევიცკი და ალექსი აღმოჩნდნენ, რომელთაც მრავალთვიანი დისკვალიფიკაცია მიიღეს.

UEFA CHAMPIONS LEAGUE — ჩემპიონთა ლიგა

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

სკანდალი «ბოტაფოგოში»

რიო-დე-ჟანეიროს ერთ დროს საუკეთესო საფეხბურთო გუნდი „ბოტაფოგო“ სკანდალით დატოვა 8 წამყვანმა ფეხბურთელმა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც გუნდი პრინციპულ მეტოქესთან „ვასკო დე გამასთან“ დამარცხდა ანგარიშით 0-7. გუნდიდან წასულები კლუბის პრეზიდენტმა მაურო პალმეიერომ მატჩის დათმობაში დაადანაშაულა. ფეხბურთელებმა პირიქით — კლუბის ხელმძღვანელობას დასდეს ბრალი, რომლებსაც ნახევარი წელიწადია მოთამაშეებისათვის ხელფასი არ გადაუხდიათ.

ვოუტერსი — «რეინჯერსის» მწვრთნელი

ამ კლუბის მთავარი მწვრთნელი ჰოლანდიელ დიკ ადვოკაატის დაბეჭითებული მოთხოვნით, კლუბის მწვრთნელთა შტაბს კიდევ ერთი ჰოლანდიელი შეემატა — ამ ქვეყნის ნაკრების ყოფილი წევრი იან ვოუტერსი, რომელიც ახლა 42 წლისაა, 1988 წლის ევროპის ჩემპიონი, 1991-94 წლებში მიუნხენის „ბავარიაში“ გამოდიოდა. 2000 წელს იგი „აიაქსის“ მთავარი მწვრთნელობიდან დაითხოვეს.

პრემიერ-ლიგის ახალი სპონსორი

ინგლისის პრემიერ-ლიგამ დაასახელა ლიგის სპონსორი მომავალი სამი წლის ვადით. ეს პატივი წილად ხვდა „Barclaycard“-ს, რომელიც ერთ-ერთი მსხვილი საბანკო ფირმის შტოა. ეს სამწლიანი კონტრაქტი 48 მილიონიანია (იგულისხმება გირვანქა სტერლინგი). 1992 წელს ხსენებული კომპანია პირველი დივიზიონის სპონსორი იყო.

„ეს სპონსორობა ჩვენს კომპანიას დაეხმარება გააფართოვოს ბიზნესი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ“ — განაცხადა სპონსორი კომპანიის პრეზიდენტმა ბობი პოსტამ.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ლატვიის ნაკრები ღრმა კრიზისშია

ლატვიის ნაკრები, სადაც ადრე დიდი წარმატებით მუშაობდა რევაზ ძოძუაშვილი, (გავიხსენოთ შედეგები!), ახლა ღრმა კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, თუმცა საკმაოდ ჰყავს ინგლისის ლიგებში ლეგიონერები.

დიდი ამბები დატრიალდა მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩის შემდეგ რიგაში (რომელსაც 4 ათასი მაყურებელი ესწრებოდა). 1-1 სან-მარინოსთან — ასეთ შედეგს, ალბათ, არავინ მოელოდა. ჯუჯა სახელმწიფოს ნაკრები კარგა ხანია მონაწილეობს სხვადასხვა შესარჩევ შეჯიბრებებში, მაგრამ აქამდე, თურმე ნუ იტყვით, ყოფილა სულ ერთი შემთხვევა, როცა ამ ნაკრებმა ფრეს მიაღწია თურქებთან. ყველა დანარჩენი მატჩი, ცხადია, წააგო...

ამ მატჩში ლატვიელებმა 22-ჯერ დაარტყეს კარში, სტუმრებმა სულ ერთხელ, 16 კუთხური მიაწოდეს, სანმარინოელებმა — არც ერთი. ლატვიელთა მწვრთნელმა, ინგლისელმა გარი ჯონსონმა წონასწორობა დაკარგა, პრეს-კონფერენციის შემდეგ ეცა ჟურნალისტს, რომელიც მას განმარტებას სთხოვდა, ჩაუმტვრია დიქტოფონი და სათვალეც კი. იმავე საღამოს გარი ჯონსონი გადადგა კიდეც.

ჯორიჩი: მოთამაშეებს ნებას არ ვაძლევ, რაიმე მიბრძანონ!

მილოვან ჯორიჩი, რუსეთთან მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩის წაგების მიუხედავად, სულაც არ კარგავს იმედს. თუ მოსკოვში იუგოსლაველებმა არ წააგეს, ფრეც კი მათ მეორე ადგილისათვის ბრძოლის კარგ შესაძლებლობებს შეუნარჩუნებს.

— მატჩი იმიტომ წავაგეთ, რომ მინდვრის შუაგული დავთმეთ. ეს განსაკუთრებით მეორე ტაიმში გახდა ნათელი, როცა მეტოქეები ჩვენზე უკეთესად გამოიყურებოდნენ.

● *როგორია თქვენი შემდგომი გეგმები?*

— მე გავაგრძელებ ნაკრების შემდგომ გაახალგაზრდავებას და არ დავუშვებ, რომ ზოგმა სახელოვანმა ფეხბურთელმა აქ ბრძანებები დაგვიწყონ, ვინ გამოვიყვანოთ მატჩზე სათამაშოდ და ვინ — არა. მე იმედი მაქვს, რომ მოვახერხებ ნაკრების გახალისებას და გარდაქმნას.

ლა პასში თქვენმა მტერმა ითამაშა!

ბოლივიის ნაკრები გასვლით შეხვედრებს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ზედიზედ აგებს, მაგრამ, როცა ლა პასში თამაშობს, აქ სულ სხვა სიტუაციაა. აქაურ ბუნებრივ პირობებს — სტადიონი კი ზღვის დონიდან 3600 მეტრზეა, კარგა ხანგრძლივი შეჩვევა უნდა, აკლიმატიზაციის საშუალება კი რომელ სტუმარ ნაკრებს აქვს.

არგენტინის ნაკრები რომ არგენტინის ნაკრებია, ისიც სასწაულებრივ გადაურჩა წაგებას. თამაშის დამთავრებამდე ორიოდე წუთით ადრე მასპინძლები იგებდნენ 3-1, არგენტინელებმა ანგარიში კი გაათანაბრეს, მაგრამ ძლივს მიაღწიეს გასახდელამდე და უგრძნობლად დაეყარდნენ იატაკზე.

გადაცემები, დრიბლინგი, ტექნიკა - ზიდანს ვინ შეედრება

ზინედინ ზიდანი

როგორც იტალიელი კომენტატორები იუწყებიან, სეზონის მიწურულში ზ ედინ ზიდანმა როგორც ტურინის „იუვენტუსში“, ისე საფრანგეთის ნაკრებში ჩვეული ძალით, ბრწყინვალედ დაიწყო თამაში. იგი აჩვენებს ყველაფერს, რაც კი აქვს — გადაცემებს, დრიბლინგს, ტექნიკას; ამაში ზიდანს ვინ შეედრება.

თურმე რატომ არ ითამაშა

როცა სავო მილოშევიჩმა რუსეთთან შესარჩევ მატჩში არ ითამაშა, ეს ბევრს ძალიან გაუკვირდა.

აი, თურმე საქმე რაში ყოფილა: თამაშის დაწყებამდე 20 წუთით ადრე მილოშევიჩმა შეიტყო, რომ პარმაში მისი ორი ძვირფასი მანქანა ქურდებმა ერთიანად მოიტაცეს.

მილოშევიჩი ძალზე განერვიულდა და მწვრთნელს სთხოვა არ გამოეყვანა იგი მინდორზე.

სურათზე: სავო მილოშევიჩი (№9)

გაზაევი არ დათანხმდა


ვალერი გაზაევი

როგორც ვალერი გაზაევმა „ალანიას“ პრეზიდენტ სერგეი ტაკოევს აცნობა, მას არ შეუძლია სათავეში ჩაუდგეს მშობლიურ კლუბს, რადგან აპირებს რამდენიმე ხანი დასვენების მიზნით ესპანეთში გაატაროს.

ახლა „ალანიას“ მთავარი მწვრთნელის მოვალეობას დროებით ალექსანდრ იანოვსკი ასრულებს, რომელიც, როგორც ფიქრობენ, კლუბს წლის ბოლომდე უხელმძღვანელებს. გაზაევი მალე დაუბრუნდება დიდ ფეხბურთს, და, როგორც ჩანს, მას კვლავ შესთავაზებენ „ალანიაში“ მუშაობას.

ვერონი თავად გადაწყვეტს თავის ბედს

„ლაციოს“ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ვერონი თავად გადაწყვეტს თავის ბედს. გაჩნდა ინფორმაცია, თითქოს „რეალს“ სურს 45 მილიონად შეიძინოს ვერონი. „ჩვენთან კონტრაქტი 2005 წლამდე აქვს დადებული, მაგრამ ვერონს შეუძლია წავიდეს. ის ძალიან განიცდის სასამართლოს ამბებს“ — თქვა კლუბის პრეზიდენტმა. ცნობილია, რომ ვერონს ბრალი ედება იტალიური პასპორტის უკანონოდ მიღებაში. ამ სიყალბეში გარეულია თვით „ლაციოს“ ხელმძღვანელობაც.

ზერნოვი - „ჩერნომორეცში“

მწვრთნელი ვიქტორ ზერნოვი, რომელიც აქამდე მოსკოვის „სპარტაკსა“ და „დინამოში“ მუშაობდა, ახლა ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცს“ ჩაუდგა სათავეში. აქ მან ანატოლი ბაიდაჩნი შეცვალა, რომელმაც „როსტსელმაშში“ ამჯობინა მუშაობა.

გეორგე ჰაჯი

მადლიერებით სავსე სტადიონი

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით XX საუკუნეში რუმინეთის №1 ფეხბურთელ გეორგე ჰაჯის გამოსათხოვარი მატჩის შესახებ, სადაც ბურთი თამაშში მისმა ორი წლის ბიჭუნამ იანის ჰაჯიმ შეიტანა.

აი, ვინ მონაწილეობდა ამ საიუბილეო მატჩში: რუმინეთი (მწვრთნელები ემერიხ ენეი, მირჩა ლუჩესკუ და გავრილა ბალინტი), სტელია, პეტრესკუ, გეორგე პოპესკუ, ფილიპესკუ, სელიმეში, საბეუ, ლუპესკუ, გილკა, დ. მუნტეანუ, ჰაჯი, მოლდოვანი. მატჩში მონაწილეობდნენ აგრეთვე პრუნია, კონტრა, მიხელი, როტარიუ, კივუ, დუმიტრესკუ, ბელოდედიჩი, პროდანი, მუტუ, ნიკოლაე.

მსოფლიოს ნაკრები (მწვრთნელები რადომირ ანტიჩი, ფატიხ თერემი და ჰუგო სანჩესი): ტაფარელი, ჩენდო, ბიულენტი, სანჩისი, დე პაულა, დუნგა, ოკანი, პროსინეჩკი, კარხანი, ჰაკან შუქური, ბუტრაგენიო. მატჩში მონაწილეობდნენ აგრეთვე დიდა, სალადესი, ლალატოვიჩი, პიანოვიჩი, დეტარი, ნერი, ტუგაი, არიფი, სუატი, ფარუკი.

ჰაჯის გამოსათხოვარ მატჩს „ლია მანოლიუს“ სტადიონზე ბუქარესტში, სადაც 60 ათასი მაყურებელი ეტევა, სულ მცირე 10 ათასით მეტი მოვიდა.

არგენტინის ჩემპიონატის შუა გზაზე

არგენტინული ფეხბურთი კვლავ ძველი პრობლემების წინაშე დგას: მას ისევ და ისევ ევროპული კლუბები აჩანაგებენ.

არგენტინაში, როგორც ცნობილია, ორი ჩემპიონატი ტარდება: „ტორნეო აპერტურა“ (საგაზაფხულო პირველობა) და „ტორნეო კლაუსურა“ (საშემოდგომო პირველობა).

ხუან რომან რიკელმე

შარშან ბრწყინვალე შედეგები ჰქონდა პოპულარულ „ბოკა ხუნიორსს“. მან მოიგო „ტურნეო აპერტურა“, მოიგო „კოპა ლიბერტადორესი“ (სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასი) და საკონტინენტთაშორისო თასი. მაგრამ მიმდინარე „ტორნეო აპერტურაზე“ მას სუსტი შედეგები აქვს. ახლა „ბოკას“ ძალიან უჭირს თავდასხმაში. აქ დიდი როლი შეასრულა განთქმული სნაიპერის, მარტინ პალერმოს „ვილიარეალში“ გადასვლამ. მისი შეცვლა, უბრალოდ რომ ვთქვათ, შეუძლებელი აღმოჩნდა. თავდამსხმელები ბარიჟო და დელგადო პალერმოს კარგი ასისტენტები კი იყვნენ, მაგრამ მის გარეშე ვერაფერს ხდებიან, გოლები ვერ გააქვთ. „ბოკას“ ჰყავს ჩინებული დირიჟორი ხუან რომან რიკელმე, მაგრამ მას მხარდაჭერა არა აქვს, ამ ცოტა ხანში ქუდს დაიხურავს და ევროპისკენ აიღებს გეზს.

საინტერესოა, რომ „ბოკა ხუნიორსის“ მთავარმა კონკურენტმა „რივერ პლეიტმა“ ასევე დაკარგა წამყვანი მოთამაშეები, შეტევის ორგანიზატორი პაბლო აიმარი და შედეგიანი კოლუმბიელი ფორვარდი ხუან პაბლო ანხელი, მაგრამ ეს გუნდის შეკუმშვებს ჯერჯერობით ნაკლებად ეტყობა. მას შემდეგ, რაც ანხელი ევროპაში გაემგზავრა, მისი ადგილი დაიკავა საკმაოდ გამოცდილმა, 25 წლის მარტინ კარდეტიმ, რომელმაც პირველ 9 ტურში 9 გოლი გაიტანა. კვლავინდებურად დიდ ყურადღებას იპყრობს 19 წლის ხავიერ სავიოლა, რომელიც ახლა სამხრეთ ამერიკაში ერთ-ერთ უნიჭიერეს ფეხბურთელად ითვლება. ამასთან, „რივერ პლეიტმა“ არა მარტო გაყიდა წამყვანი მოთამაშეები, ახლების შესაძენადაც იზრუნა. კერძოდ, ბრაზილიური კლუბებისგან იყიდა პარაგვაის ნაკრების მცველი სელსო აიალა და არგენტინის ნაკრების ნახევარმცველი ლეონარდო ასტრადა.

ხავიერ სავიოლა

არგენტინის ჩემპიონატში 20 კლუბი გამოდის და ერთ წრედ თამაშობს. 12 ტურის შემდეგ, შეიძლება ითქვას, წოდების შენარჩუნების თითქმის არავითარი შესაძლებლობა აღარა აქვს „ბოკა ხუნიორსს“, რომელიც 18 ქულით მხოლოდ მეექვსე ადგილზეა. ჩემპიონმა XI ტურში მძიმე მარცხი იგემა „ველეს სარსფილდთან“ — 2-5

ახლა 28 ქულით წინ არის „რივერ პლეიტი“, თუმცა მას ჯერჯერობით დიდი ბრძოლა მოელის ერთადერთ, მაგრამ სახიფათო მეტოქე „სან ლორენსოს“ ჩამოსატოვებლად. „სან ლორენსოს“ 26 ქულა აქვს. მხოლოდ მეცხრე ადგილზეა „ალმაგრო“, რომელსაც ერთდროულად სამი ხელმძღვანელი ჰყავს: მწვრთნელები ბრაუნი და ენრიკე, დიეგო მარადონა, მას მწვრთნელთა შტაბის კოორდინატორი ეწოდება. თუ რა შედეგებს მოიტანს ამ სამი პიროვნების ერთობლივი მოღვაწეობა, ამას სულ მალე ვნახავთ.

„ნიდერგაუზი“ ნიდერჰაუსი გახდა

ცნობილი თავდამსხმელი, ეროვნებით გერმანელი, ვლადიმირ „ნიდერგაუზი“ ნიდერჰაუსი გახდა — თავის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდა, სადაც, როგორც დარწმუნებულია, გაცილებით უკეთეს პირობებში აღმოჩნდება.

ასაკის მიუხედავად, ნიდერჰაუსი სულაც არ აპირებს ფეხბურთისათვის თავის დანებებას.

— მე ვაფასებ სიტუაციას და ვიცი, რომ პირველ ბუნდესლიგაში უკვე ველარ ვითამაშებ. ამასთან, მეორე ბუნდესლიგაში, ან ობერლიგაში ჯერ კიდევ შემიძლია რაიმეს გაკეთება. ყოველ შემთხვევაში, ვიცი ბევრი მოთამაშე, რომლებიც 35-36 და, ასე გასინჯეთ, 38 წლისანიც გამოდიან მეორე ბუნდესლიგაში, მე კი 33 წლისა ვარ.

რაფაელ მარკესს „რეალი“ ეპატიჟება

მექსიკის ნაკრების მცველ რაფაელ მარკესის მეტისმეტად საიმედო თამაში საყოველთაო ყურადღებას იპყრობს. ახლა მასთან მოლაპარაკება აქვს მადრიდის „რეალს“.

არნახული დაძაბულობა

ახლა, როცა ევროპის „დიდი საფეხბურთო ხუთეულის“ ზოგ ქვეყანაში პირველი ადგილის ბედი უკვე გადაწყდა, იტალიაში, ჩემპიონატის დამთავრებამდე 6 ტურით ადრე, საერთოდ არაფერია ნათელი და ყოველ ახალ სათამაშო დღეს დიდი თუ მცირე მოულოდნელობებიც კი მოაქვს.

იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა

XXVIII ტურში ლიდერი „რომა“ თანაქალაქელ „ლაციოს“ ხვდებოდა. ზედმეტია ლაპარაკი ამ სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული კლუბების მეტოქეობაზე, მათი ტიფოზების გაუთავებელ შეხლა-შემოხლაზე. ამასთან, ახლა ორივე მეტოქე პირველი ადგილისათვის იბრძვის: „რომა“ გაცილებით ახლოს არის მიზანთან, „ლაციოს“ ამოცანები კი ძლიერ გართულებულია. დინო ძოფის გუნდი ლიდერს მთელი შვიდი ქულით ჩამორჩებოდა, ამიტომ მას ხელს მხოლოდ მოგება აძლევდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ კინაღამ ჩემპიონობისათვის ბრძოლის ყოველგვარი შესაძლებლობა გადაეწურა. მეტად უფერული (და მხოლოდ უხეშობით გამორჩეული) პირველი ტაიმის შემდეგ, როცა ანგარიში არ გახსნილა, თამაში მეორე ნახევარში მეტისმეტად მძაფრი გახდა. „რომა“ ორი გოლითაც კი დაწინაურდა, მაგრამ „ლაციომ“ სულ უკანასკნელ მომენტში შეძლო ქულის ხსნა — 2-2. დისტანცია მეტოქეებს შორის უცვლელი დარჩა.

იუვენტუსი — ტორინო

ამრიგად, დღეისათვის ჩემპიონობის პრეტენდენტი სამია: „რომა“, „იუვენტუსი“ და „ლაციო“, თუმცა, ცხადია, „სერია A“-ს ინტრიგა მხოლოდ „სკუდეტოსათვის“ ბრძოლით არ ამოიწურება.

პირველ ადგილზე 63 ქულით „რომაა“, მაგრამ ექსპერტების აზრით, ფაბიო კაპელოს გუნდს მიზნის მისაღწევად უმძიმესი ბრძოლის გადატანა ელის. გადავხედოთ მისი მომავალი შეხვედრების კალენდარს. 6 მაისს „რომა“ ტურინში ხვდება მეორე ადგილზე (57 ქულა) მყოფ „იუვენტუსს“. ამ შეხვედრის მნიშვნელობაზე ზედმეტიც კია ლაპარაკი. XXX ტურში (13 მაისს) „რომა“ თავის საზიარო „სტადიო ოლიმპიკოზე“ მიიღებს ბერგამოს „ატალანტას“, რომელიც 42 ქულით მეექვსე ადგილზეა და მთელი სეზონის მანძილზე მტკიცე, შინაარსიან თამაშს უჩვენებს. „ატალანტას“ ჯერ კიდევ აქვს ჩემპიონთა ლიგის საგზურისათვის ბრძოლის შესაძლებლობები, ისე კი, უნდა ვიფიქროთ, უეფას თასზე მოხვედრაც სავსებით დააკმაყოფილებს. ცხადია, არც ეს იქნება „რომასთვის“ იოლი შეხვედრა. XXXI ტურში (20 მაისს) ლიდერი ქ. ბარიში შეხვდება ადგილობრივ კლუბს, რომელსაც გათამაშების ცხრილში უკანასკნელი, მეთვრამეტე ადგილი (19 ქულა) უჭირავს და მისი „სერია B“-ში გადასვლის საკითხი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ აუტსაიდერი იოლად დათმობს ამ მატჩს. „ბარი“ საკმარისად ძლიერი გუნდია, რასაც თითქმის ყველა შეხვედრაში ამტკიცებს, მაგრამ ძალა (მაინც!) აღმართსა ხნავსო, ნათქვამია... XXXII ტური 27 მაისს არის დანიშნული. რომში ითამაშებს საპრიზო ადგილის ერთ-ერთი პრეტენდენტი „მილანი“. შარშანწინ იტალიის მრავალგზის ჩემპიონი ალბერტო ძაკერონის ხელმძღვანელობით კარგად აწყობილ მექანიზმს ჰგავდა (და პირველზეც გავიდა). შარშან რაღაც-რაღაც ხარვეზები აღმოჩნდა, მაგრამ მესამე ადგილიც ურიგო შედეგი არ იყო. მიმდინარე სეზონში „მილანს“ ნამდვილი ციებ-ცხელება დაეწყო და ძაკერონიც დროულად მოაცილეს გუნდს, თუმცა მას პირის გატეხვისათვის ანუ კონტრაქტის დარღვევისათვის კარგა გვარიანი თანხა უნდა გადაუხადონ. მას შემდეგ, რაც გუნდი ჩეზარე მალდინიმ ჩაიბარა, „მილანი“ წარმატებას წარმატებაზე აღწევს, მაგრამ ძალიან ბევრი ქულა აღმოჩნდა დაკარგული. ახლა „მილანი“ მეხუთეა (44 ქულა). ეს იმას ნიშნავს, რომ ლიდერს მთელი 19 ქულით ჩამორჩება. რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი მეოცნებეც კი „სკუდეტოზე“ ვერ იფიქრებს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაზე ბრძოლა ჯერ კიდევ შეიძლება. მეოთხე ადგილზე მყოფი „პარმა“ ხომ სულ სამი ქულით არის წინ. ეს იმას ნიშნავს, რომ „მილანს“ რომში წაგების უფლება უკვე აღარა აქვს, ფრეც დიდი დანაკარგი იქნება. ერთი სიტყვით, ეს შეხვედრა ძალიან ბევრს გადაწყვეტს. XXXIII ტურში (10 ივნისს) ლიდერი ითამაშებს ნეაპოლში „სან-პაოლოს“ სტადიონზე. „ნაპოლი“, საკმაოდ ძლიერი გუნდი, მთელი ჩემპიონატის მანძილზე იბრძვის „სერია A“-ში დასარჩენად. „რომა“ უკანასკნელ მატჩს (XXXIV ტური, 17 ივნისი) შინ ჩაატარებს „პარმასთან“, რომელსაც საუკეთესო თავდასხმა და იტალიაში ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე დაცვა ჰყავს, ისე, რომ...

პარმა — უდინეზე

ახლა გადავხედოთ მეორე ადგილზე მყოფ, იტალიის ვიცე-ჩემპიონ „იუვენტუსის“ შესაძლებლობებს, რომელმაც, როგორც კარგად გახსოვთ, შარშან უკანასკნელ ტურში დაკარგა „სკუდეტოს“ მოპოვების შესაძლებლობა. ვარსკვლავებით სავსე კარლო ანჩელოტის გუნდს რაღაც აკლია, შესაძლოა ეს იყოს იღბალიც. უკანასკნელი ტურის მატჩში, თანაც საკუთარ მინდორზე, „ლეჩესთან“, მეორე ტაიმის მიწურულში ფილიპო ინძაგის მიერ პენალტით დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. ორიოდე წუთის შემდეგ კი იგივე ინძაგი ჩინებულად გაიჭრა კარისკენ, მცველებიც ჩამოიშორა, მაგრამ ისევ იმავე ძელს მოარტყა ბურთი და სრულიად აფექტურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მაშ ასე, ახლა „იუვენტუსმა“ ზეგ აუცილებლად უნდა მოუგოს „რომას“ თუ არა და... შემდეგი მატჩი „ბებერ ქალბატონს“ ქ. ფლორენციაში აქვს. „იისფერი გუნდი“ ახლა 39 ქულით მეცხრეა. რა თქმა უნდა, რობერტო მანჩინი „ფიორენტინაში“ იმიტომ არ მიუწვევიათ, რომ ასეთი ადგილით დაკმაყოფილდეს. გუნდს ჯერ კიდევ აქვს უეფას თასის საგზურისათვის ბრძოლის გარკვეული შესაძლებლობა. 20 მაისს „იუვენტუსი“ უკვე „ბოლონიას“ უნდა ესტუმროს. „ბოლონია“ ამჟამად სულ ერთი ქულით უსწრებს „ფიორენტინას“, ამოცანები კი ზუსტად იგივეა. გავითვალისწინოთ, რომ ახლა ჩინებულად თამაშობს ვეტერანი ჯუზეპე სენიორი. შემდეგ კი, „იუვენტუსს“, თუ არ ვცდებით, უფრო იოლი დღეები დაუდგება, ხვდება შინ „პერუჯას“, სტუმრად — „ვიჩენცას“ და ბოლო ტურში შინ — „ატალანტას“, რომლის მდგომარეობა იმ მომენტისათვის გარკვეული იქნება. თუმცა, ვინ იცის...

ახლა ვნახოთ, როგორია მესამე ადგილზე 56 ქულით მყოფი „ლაციოს“ შესაძლებლობები. იგი, ეტყობა, დაახლოებით ისეთივეა, როგორიც „ბებერი ქალბატონისა“. ვიმეორებთ, „სერია A“-ში ლაპარაკი ყოველგვარ „იოლ მატჩებზე“ სრულიად ზედმეტია. 6 მაისს „ლაციო“ მიიღებს „ბარის“ და, ეტყობა, დაამარცხებს. შემდეგ ძოფის გუნდი ნეაპოლს უნდა ესტუმროს, შეიძლება არც ისე ძნელი იყოს მომდევნო მატჩი ოლიმპიურ სტადიონზე „უდინეზესთან“, რომელიც ბოლო ტურებში მარცხს მარცხზე განიცდის. 27 მაისს „ლაციო“ თამაშობს მილანში „ინტერთან“, მარკო ტარდელიმ საერთოდ მოშლილი „ინტერი“ ჩაიბარა, გარკვეულად ბრძოლისუნარიანი გახადა, ზოგჯერ (ეტყობა, გადაჭარბებითაც!) ჩვეული ძალით თამაშს იწყებს კრისტიან ვიერი. ყოველივე ამის მიუხედავად „ინტერის“ მდგომარეობა (მეშვიდე ადგილი, 41 ქულა მაინც საკმაოდ მძიმეა. აქ დიდი როლი შეასრულა „ინტერის“ მარცხმა უკანასკნელ ტურში „ბრეშიასთან“ — 0-1 (გოლის ავტორია, არც ისე დიდი ხნის წინათ „ინტერიდან“ წასული, „პროფესიონალი შურისმაძიებელი“ რობერტო ბაჯო, რომელმაც თავისი ყოფილი კლუბი „იუვენტუსიც“ გაამწარა!). ერთი სიტყვით, „ინტერს“ „ლაციოსთან“ მხოლოდ მოგება აძლევს ხელს. 10 ივნისს „ლაციო“ სახიფათო „ფიორენტინას“ მიიღებს, ბოლო ტურში კი სტუმრად „ლეჩეს“ ეთამაშება.

ასეთია, დაახლოებით ჩემპიონობის სამი პრეტენდენტის შესაძლებლობები. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საგზურისათვის ბრძოლას, მისი ძირითადი პრეტენდენტები „პარმა“ და „მილანია“, „ატალანტას“, „ინტერის“, „ფიორენტინასა“ და „ბოლონიას“ შესაძლებლობები კი უარესია. „სერია A“-ში დარჩენის საკითხი კი ცალკე საუბრის თემაა.

ბივი გამრეკელი

კონფედერაციის თასზე

კონფედერაციის თასი 1992 წლიდან თამაშდება. 1992 წელს გაიმარჯვა არგენტინის ნაკრებმა, 1995 წელს — დანიელებმა, 1997 წელს — ბრაზილიელებმა, 1999 წელს კი მექსიკელებმა. პირველი სამი ტურნირი საუდის არაბეთში ჩატარდა, ბოლო კი მექსიკაში.

წლევანდელი თასის გათამაშება 30 მაისს დაიწყება, ფინალური მატჩი კი ჩატარდება 10 ივნისს იოკოჰამაში. კონფედერაციის თასის მატჩები ტარდება როგორც იაპონიაში, ისე სამხრეთ კორეაში.

მონაწილე 8 ნაკრები ორ ჯგუფად დაიყო. პირველში ითამაშებენ საფრანგეთი, სამხრეთ კორეა, მექსიკა, ავსტრალია, მეორეში — ბრაზილია, კამერუნი, იაპონია, კანადა.

მატჩების კალენდარი:

30 მაისი. საფრანგეთი — სამხრ. კორეა, მექსიკა — ავსტრალია.
31. მაისი. ბრაზილია — კამერუნი, იაპონია — კანადა.
1 ივნისი. ავსტრალია — საფრანგეთი, სამხ. კორეა — მექსიკა.
2 ივნისი. კანადა — ბრაზილია, კამერუნი — იაპონია.
3 ივნისი. საფრანგეთი — მექსიკა, სამხ. კორეა — ავსტრალია.
4 ივნისი. ბრაზილია — იაპონია, კამერუნი — კანადა.

ნახევარფინალში. 7 ივნისს ერთმანეთს შეხვდებიან: B ჯგუფში გამარჯვებული და A ჯგუფში მეორე ადგილზე გასული გუნდი, A ჯგუფში გამარჯვებული და B ჯგუფში მეორე ადგილზე გასული.
9 ივნისს გაიმართება მესამე ადგილის გამოსარკვევი მატჩი.
10 ივნისს — ფინალი.

ROMA CLUB-ს ბრაზილიელი გაუჭირდა

მიუნხენის გარეუბნის კლუბმა „უნტერხახინგმა“ ბუნდესლიგის შარშანდელ ჩემპიონატში, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლი შეასრულა: მას რომ ბოლო ტურში არ მოეგო „ბაიერისათვის“ (ლევერკუზენი), „ბაიერნი“ ჩემპიონი ვერ გახდებოდა.

აი, წლევანდელ სეზონში კი, „უნტერხახინგს“ მეტისმეტად გაუჭირდა. ახლა იგი ბუნდესლიგაში დარჩენის უფლებისათვის იბრძვის. ერთი ღონისძიება მდგომარეობის გამოსასწორებლად კლუბმა უკვე განახორციელა: მან დაიქირავა ოთხი ავტობუსი და გასვლით მატჩებში თავისი გულშემატკივრები უფასოდ დაჰყავს.

ფინალში კარგი არაფერი ელის

ლუჩესემბურგის ნაკრების მწვრთნელმა ფილიპმა, რომლის გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში რუსეთსა და იუგოსლავიასთან ერთად გამოდის, აზრი გამოთქვა ჯგუფში შექმნილი სიტუაციის გამო, რომ ორივე ნაკრები გვარიანად არის გადაბერებული.

რუსეთის ნაკრები, ფილიპის განცხადებით, მსოფლიო პირველობის ფინალურ ნაწილში თამაშის უფლებას კი მოიპოვებს, მაგრამ იქ კარგი არაფერი ელის.

შურისძიება

ამ ორიოდე წლის წინათ ვალერი კეჩინოვი რუსეთის ერთ-ერთ უნიჭიერეს ფეხბურთელად ითვლებოდა და ნაკრებშიც გამოდიოდა, მაგრამ როგორც კი შარშან სერიოზულად დაშავდა, მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა მოსკოვის „სპარტაკში“ ადგილი არ შეუნარჩუნა და გარიცხა.

ასე არ უნდაო და კეჩინოვმა, რომელიც ახლა რამენსკოეს „სატურნში“ თამაშობს, „სპარტაკთან“ პირველსავე შეხვედრაში შაბათს „ხმა აიმაღლა“. მატჩი მოიგო „სატურნმა“ — 3-0. ამასთან, ორი გოლი კეჩინოვმა გაიტანა.

ლობიოს დოპინგი ყოფილა

სამარის „კრილია სოვეტოვში“ წლეულს ჩაირიცხა და დიდი წარმატებით თამაშობს ბრაზილიელი თავდამსხმელი ანჟელო. როგორც კორესპონდენტები სამარიდან იუწყებიან, ანჟელომ ბრაზილიიდან ჩამოიტანა დიდი ტომარა ლობიო, რომელიც თურმე მისი საყვარელი საჭმელი ყოფილა.

რამდენადაც ჩვენ ვიცით, ლობიო აკრძალულ პრეპარატებში არ შედის, მაგრამ ანჟელოსათვის კი ნამდვილი დოპინგია.

დიდი ძაბის ნიჭიერი ვაჟი

დიდი პიროვნებების ტალანტი რომ უმეტეს შემთხვევაში მათ მემკვიდრეებზე არ გადადის, ეს კარგად არის ცნობილი. იოჰან კრუიფის კლასისა და ნიჭის ფეხბურთელი ისტორიაში შეიძლება სულ ხუთიოდე იყო, ამიტომ მისი შვილი, ასევე იოჰან ჰორდი კრუიფი, ცხადია, მეტად უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, როცა პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერა აირჩია.

მამას როგორ შეედრება, მაგრამ ჰორდიმ, უდავოდ ნიჭიერმა ახალგაზრდამ, იმდენი იმეცადინა, იმდენი შეუპოვრობა გამოიჩინა, რომ ჩინებული ოსტატი დადგა.

1995 წლის სექტემბერში მადრიდის „რეალთან“ შეხვედრაში „ბარსელონაში“ აქამდე წარმატებით მოთამაშე 21 წლის ჰორდიმ სერიოზული ტრავმა (მენისკი) მიიღო. ორ თვეში ორი ოპერაცია გაუკეთეს. მამამისი, იოჰან კრუიფი სრულიად დარწმუნებულიც კი იყო, რომ ჰორდის კარიერა ამით დასრულდებოდა.

ჭაბუკმა ფეხბურთელმა მართლაც რომ იშვიათი შეუპოვრობა გამოავლინა. მეორე ქირურგიული ჩარევის შემდეგ გამოაშკარავდა, რომ საქმე არც ისე უიმედოდ იყო. ჯერ იყო და ყავარჯნები მოიშორა, შემდეგ ვარჯიშობდა ტრენაჟერების დახმარებით და თანდათან აამუშავა მარჯვენა ფეხი. ექიმების ზედამხედველობით მკურნალობის სპეციალური კომპლექსი გაიარა და კვლავ დაუბრუნდა „ბარსელონას“ ძირითად შემადგენლობას.

დიახ, მაგრამ განა იმსახურებდა იგი ესოდენ ამბიციურ კლუბში თამაშს, თუ უხათრეს და ამაში მამის ავტორიტეტი დაეხმარა.

„ბარსელონას“ პრეს-ცენტრის აზრით, მამამისი არაფერ შუაშია. უბრალოდ, ჰორდიმ, რომელიც მეორე შემადგენლობაში თამაშობდა (პოპულარულ „დუბლების“ მსგავს შეჯიბრებაში), ქვეყნის ჩემპიონატში გაიმარჯვა, რომელიც ახალგაზრდა ფეხბურთელებისათვის ტარდება. ამის შემდეგ ამ გუნდის მწვრთნელმა კარლოს რექსაჩმა -ამ დღეებში ლორენსო სერა ფერერის მოხსნის შემდეგ „ბარსელონას“ ჩაუდგა სათავეში) რეკომენდაცია გაუწია კლუბის მაშინდელ მესვეურებთან.

რექსაჩი აღნიშნავდა, რომ ჭაბუკ კრუიფს კარგი ტექნიკა აქვს, ძალზე სწრაფადაც მოქმედებს, ჩინებული ტაქტიკოსია და გოლებიც გააქვს, ერთი სიტყვით, მეტი შეუძლია, ვიდრე მისი ასაკის ფეხბურთელისაგან მოითხოვენ. ასე გაიკვლია მან გზა „ბარსელონას“ ძირითადი შემადგენლობისაკენ და გვარიანადაც თამაშობდა.

როცა უფროს კრუიფს ამ პერიოდში ჰკითხეს, „ბარსელონის“ მწვრთნელი კია, მაგრამ თავს ხომ არ შეიკავებს ვაჟის დახასიათებაზე, იოჰანმა არაფერი დამალა. მან თქვა, რომ კმაყოფილია შვილის მოქმედებით. იგი ერთნაირად კარგად თამაშობს, როგორც ნახევარდაცვის ცენტრში, ისე მარცხენა ფრთაზე. სულაც არ ეშინია ბრძოლის, მეტად მტკიცეა და შეუპოვარი.

როცა მამა „ბარსელონიდან“ გაანთავისუფლეს, შვილმა ინგლისში გადასვლა არჩია. როგორ თამაშობდა? ისე, ცვალებადი წარმატებით, თვითონ კი კმაყოფილი არ იყო. ეტყობა, მისი ბედი ესპანეთში თამაში ყოფილა. ამიტომ, როგორც კი 2000 წლის ზაფხულში ქ. ვიტორიის „ალავესმა“ მიიწვია, ჰოლანდიელიც დაუყოვნებლივ დაბრუნდა თავის მეორე სამშობლოში.

ვინ იფიქრებდა, რომ „ალავესი“ აქამდე წაიწევდა. ახლა ხომ მას უეფას თასის ფინალში მიელის გამოსვლა და ესპანეთის ჩემპიონატშიც მშვენივრად თამაშობს. ჰორდი კრუიფი მისი ერთ-ერთი ლიდერია და თვლის, რომ იპოვა თავისი შესაფერისი გუნდი.

ბივი თორელი

ევროპის პირველობა ძალთა შორის

რაღა რჩება...

.... მაგრამ ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთა წამყვანი ჯგუფის მდგომარეობა კვლავ ბუნდოვანია, როგორც ეს შვეიცარიული სისტემით ჩატარებული ასპარეზობებისათვის არის დამახასიათებელი. ეს არის ნამდვილი „საქანელა", სადაც თუნდაც ერთმა წაგებამ შეიძლება მონაწილე ძალიან შორს გადაისროლოს.

ჩემპიონატი ვარშავის ცენტრში მდებარე პრესტიჟულ სასტუმრო „მარიოტში" მიმდინარეობს. 157 მონაწილეს შორის 62 დიდოსტატია, რომელთაგან მხოლოდ ერთი გრძნობს თავს არხეინად — ალისა გალიამოვას (რუსეთი) ისედაც აქვს მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მაღალი რეიტინგის გამო, და ვარშავაში უბრალოდ ვარჯიშისათვის, ან, შესაძლებელია, სიამოვნების გამოც თამაშობს.

ეს პირველი ოფიციალური ტურნირია, სადაც ძალაში შევიდა ფიდეს მიერ დადგენილი დროის ახალი კონტროლი, რომელსაც, როგორც ცნობილია, მრავალი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა (კასპაროვი, კრამნიკი, კარპოვი), დიახ ადრინდელი 6 საათის ნაცვლად პარტია მხოლოდ 4 საათს გრძელდება. დასაწყისში მოჭადრაკეს მხოლოდ 75 წუთი ეძლევა 40 სვლისათვის (თითოეულ სვლაზე ავტომატურად 30 წამიც ემატება ფიშერის მიერ შექმნილ საათზე, რომელსაც ახლა ყველა შეჯიბრებაში გამოიყენებენ,), შემდეგ კი 15 წუთი პარტიის ბოლომდე. ამ სიახლეს ახალგაზრდა მოჭადრაკეები მოწონებით გამოეხმაურნენ, ისინი, ცხადია, უფრო სწრაფად თამაშობენ, მაგრამ ასაკოვანი დიდოსტატებისათვის ახალი სისტემა დიდ დაბრკოლებებს ქმნის.

იმ ქართველი მოჭადრაკეებიდან, რომლებიც 29 საგზურისათვის იბრძვიან, 9 ტურის შემდეგ ყველაზე კარგი მდგომარეობა აქვს ნინო ხურციძეს, რომელმაც 6,5 ქულა მოაგროვა. ქეთევან არახამია მერვე ტურში დამარცხდა ინა გაპონენკოსთან, მეცხრეში ყაიმით დაამთავრა შეხვედრა და 6 ქულა მოაგროვა. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გასვლისათვის ბრძოლის თვალსაზრისით ხურციძისა და არახამიას შედეგები ძალიან კარგია, მაგრამ ნათელი არ არის, რამდენად საკმარისი იქნება მაღალი საპრიზო ადგილებისათვის საბრძოლველად.

მეათე ტურში ნინო ხურციძემ პარტია ყაიმით დაასრულა და 7 ქულა მოაგროვა. გაიმარჯვა არახამიამ და მასაც 7 ქულა აქვს. ნანა ძაგნიძემ, ქეთინო კახიანმა (გერმანია) და ჰენრიეტა ლაგვილავამ (ბელორუსია 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს, სოფიო გვეტაძემ და თეა ლანჩავამ (ჰოლანდია) — 5,5-5,5 ქულა, მაია ლომინეიშვილმა, თამარ ხმიადაშვილმა, სოფიკო ხუხაშვილმა, ანა მათნაძემ და სოფიკო ტერელაძემ — 5-5 ქულა, ლელა ჯავახიშვილმა — 4,5 და ნონა გაფრინდაშვილმა — 3,5 ქულა.

ახლა ყველაფერს უკანასკნელი მეთერთმეტე ტური გადაწყვეტს.

ვახტანგ (ხჩიჩა) უსანეთაშვილი

37 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა ვეტერანი სპორტსმენი, მწვრთნელი ფიგურულ ციგურაობაში ვახტანგ უსანეთაშვილი. ჯერ კიდევ 6 წლისამ დაიწყო ვარჯიში ფიგურულ ციგურაობაში მწვრთნელ თამარ ჯიქიასთან, ჭაბუკობიდანვე მიიპყრო სპეციალისტების ყურადღება, არაერთხელ გახდა საქართველოს ჩემპიონი და პრიზიორი, იყო საკავშირო პირველობების მრავალგზის პრიზიორი, მონაწილეობდა საერთაშორისო შეჯიბრებებში, გახდა სპორტის ოსტატი.

უსპორტოდ ცხოვრება ვერ წარმოედგინა. შინაგანმა მოწოდებამ მიიყვანა ფიზიკური კულტურის და სპორტის ინსტიტუტში, მიიღო კვალიფიცირებული მწვრთნელის სპეციალობა და იმავე სკოლაში ზრდადა მომავალ მოციგურავეებს, სადაც თავად აიდგა ფეხი, როგორც სპორტსმენმა. ერთადერთი ვაჟიშვილი ირაკლიც სპორტს აზიარა, იგი ახლა 12 წლისაა და პერსპექტიულ სპორტსმენად მიიჩნევენ მწვრთნელები.

ვაგლახ, რომ საკუთარი აღსაზრდელების წარმატებებს ვეღარ მოესწრო. ავტოკატასტროფას შეეწირა ამ ნიჭიერი მწვრთნელის, შესანიშნავი პიროვნების და მოქალაქის სიცოცხლე. თბილისზე, თავის შეგირდებზე, მეგობრებზე, ოჯახზე უზომოდ შეყვარებულს სხვაგან ცხოვრება ვერ წარმოედგინა. ამიტომაც მუდამ ამბობდა უარს უცხოეთში სამუშაოდ მიწვევაზე.

საქართველოს საციგურაო სამყარომ, მთელმა ჩვენმა საზოგადოებრიობამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. ნუგეშად ყველას ისღა დაგვრჩენია სათუთად შევინახოთ მრავალი ადამიანური ღირსებებით შემკული ამ პიროვნების ნათელი ხსოვნა.

ვახტანგ უსანეთაშვილის სახელი და ამაგი არასოდეს მიეცემა დავიწყებას.

თბილისის
მერიის სპორტის,
სკოლისგარეშე
ფიზიკური აღზრდისა და
ტურიზმის
სამმართველო სამსახურის
საციგურაო სკოლის
თანამშრომლები, აღსაზრდელები
და მათი მშობლები, მეგობრები.

ჰასიმ რახმანი: „მე დიდი გული მაქვს!"

ლენოქს ლიუისი უკვე შვიდი წელია არავისთან დამარცხებული. ამასთან, იგი მეტოქეებს საკმაოდ იოლად უსწორდებოდა. მართალია, პირველი მატჩი, ევანდერ ჰოლიფილდთან ფრედ დამთავრდა, მაგრამ ეს უფრო მსაჯების არაობიექტურობას მიეწერა. ამის სამართლიანობა ამ დიდი მოკრივეების განმეორებითმა მატჩმა დაადასტურა.

და აი, ამდენი ტრიუმფის შემდეგ ლენოქს ლიუისი დამარცხდა და თანაც როგორ — ნოკაუტით, მეხუთე რაუნდში.

აფრიკული იოჰანესბურგი ზღვის დონიდან 1600 მეტრზეა. როცა იქ ლიუისი ჰასიმ რახმანთან მატჩამდე, სულ ორი კვირით ადრე ჩავიდა, კრივის მიმომხილველებმა იგი მეტოქის ძალის შეუფასებლობაში დაადანაშაულეს, იმაში, რომ ლიუისი ამ ორთაბრძოლას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. სხვა შემთხვევაში ჩემპიონი იოჰანესბურგში გაცილებით ადრე ჩავიდოდა და აკლიმატიზაციას მეტ ყურადღებას დაუთმობდა. ლიუისმა ამ შენიშვნას სათანადო ყურადღება არ მიაქცია.

— კეთილი ინებეთ, ყველაფერს ნუ მასწავლით, მე უკეთ ვიცი, როგორ უნდა მოვემზადო ამ ორთაბრძოლისთვის. პირველი წელი ხომ არ არის, რაც რინგზე ვიბრძვი, ისიც ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე. ეს ორი კვირა აკლიმატიზაციისათვის და მატჩისათვის მოსამზადებლად სრულიად საკმარისია.

საერთოდ კი ლენოქს ლიუისს კრივის სამყაროში უამრავი მტერი ჰყავს. როცა მან იოჰანესბურგში ყველა ღია ვარჯიში გააუქმა, იმ წუთშივე დაბარალეს, რომ რახმანს არაფრად აგდებს და მატჩი მისთვის დიდ არაფერს წარმოადგენს. მყისვე მოაგონეს, რომ სწორედ ასევე იქცეოდა იგი 7 წლის წინათ ოლივერ მაკოლთან შეხვედრის წინ, შედეგი კი იყო ლიუისის პირველი დამარცხება და თანაც ნოკაუტით მეორე რაუნდში.

თვით ლიუისმა განაცხადა, რომ ყურადღებას არ აქცევს ამ თავდასხმებს.

— დეე, რაც უნდათ, ის ილაპარაკონ. მე კი. ჩემის მხრივ, გპირდებით, რომ რახმანს ნოკაუტით დავამარცხებ. შევეცდები, ეს, რაც შეიძლება მალე გავაკეთო. ვფიქრობ, ეს უკვე მეხუთე რაუნდში მოხდება.

წინა სამატჩო აწონვის შემდეგ კრიტიკოსებმა განაახლეს ჩემპიონზე თავდასხმა. სწერდნენ, რომ იგი ძალიან დამძიმდა, 122 კილოგრამი გახდა, რაც ადრინდელზე ათი კილოგრამით მეტია.

ზოგმა ლიუისს „დედიკოს შვილი" და ცისფერიც კი უწოდა. ინგლისელს ბრალი იმიტომ დასდეს, რომ იგი თითქმის არასოდეს იცილებს დედას, არავის უნახავს ქალთა საზოგადოებაში.

— არ უარვყოფ, რომ „დედიკოს შვილი" ვარ. ძალიან მიყვარს დედაჩემი და ყველა საკითხზე მას ვეთათბირები. აი, არატრადიციულ ორიენტაციაში ჩემმა დადანაშაულებამ კი თავი მომაბეზრა. არა, მე ცისფერი არა ვარ! 100 პროცენტიანი ჰეტეროსექსუალი გახლავათ. ისე კი, თუ სურთ, ასე მიწოდონ, მათი ნებაა. ვიცი, ახლა მოდაში შემოვიდა ყველასთვის უკლებლად ცისფერის წოდება.

36 წლის ლენოქს ლიუისის გამარჯვება თითქმის არავის ეეჭვებოდა. ფსონი 20 ერთის წინააღმდეგ — ცხადია, ჩემპიონის სასარგებლოდ.

28 წლის პრეტენდენტი ჰაკიმ რახმანი კრივის სამყაროში მანამდეც კარგად ცნობილი ფიგურა იყო, თუმცა არც რაიმე დიდი წოდება ჰქონია და არც რაიმე მქუხარე გამარჯვებები. ლიუისთან შეხვედრამდე, იგი ითვლებოდა მსოფლიო ჩემპიონად მესამეხარისხოვან WBU-ს ვერსიით, რომელიც შარშან მარტში მოიპოვა. აი, ახლა კი დიდად პრესტიჟულ WBC-სა და IBF-ს ვერსიებით მსოფლიო ჩემპიონობისთვის უნდა ებრძოლა.

ლიუისისაგან განსხვავებით რახმანი მეტად სერიოზულად მოეკიდა მომავალ ბრძოლას. იგი სამხრეთ აფრიკაში მატჩამდე ერთი თვით ადრე ჩავიდა და შეუპოვრად მოემზადა.

— ასე სერიოზულად არც ერთი მატჩისათვის არ მოვმზადებულვარ. თუკი ლიუისს იოლი მოგების იმედი აქვს, ძალიან სცდება. მინდა მსოფლიო ჩემპიონი გავხდე, ამისათვის კი ყველაფერს გავაკეთებ.

ასეთ სიტყვებს დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ თუნდაც იმიტომ, რომ რახმანმა ნოკაუტით წააგო ახალზელანდიელ დევიდ ტუასთან, რომელიც შემდეგ სასტიკად დამარცხდა ლენოქს ლიუისთან.

— სულაც არ მაღელვებს, რომ უკვე შვიდი წელია ლიუისი ყველას ზედიზედ ამარცხებს. მისი მეტოქეები მატჩამდე ძალიან დაშინებული იყვნენ, მე კი ლიუისს სულაც არ ვუფრთხი. დიახ, მასზე დაბალიც ვარ და ნაკლები გამოცდილებაც მაქვს. მაგრამ ვინ იცის, რამხელა გული მაქვს. იგი ძალიან დიდია. ისეთი დიდი, როგორიც ნამდვილ მებრძოლს უნდა ჰქონდეს.

რაც მოხდა ლიუისისა და რახმანის მატჩში, ახლა ყველასათვის კარგად არის ცნობილი. ლიუისის სიტყვები გამართლდა. ბრძოლა მართლაც მეხუთე რაუნდში ნოკაუტით დამთავრდა, რა თქმა უნდა, სრულიად საწინააღმდეგო შედეგით.

ერთი რამ ცხადია — რახმანის გამარჯვება ახლა ბევრ პრეტენდენტს გამოაცოცხლებს, თუმცა ლენოქს ლიუისი ხომ მარტჩ-რევანშის უფლებას ინარჩუნებს.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

4 მაისი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი, მატჩი მესამე ან ბოლისათვის (16.00), *რუსთავი-2.* ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (15.20), *ევროკა.* მსოფლიო სპორტი (10.45, 20.00), *ESPN.* ფეხბურთი: ინგლისის (10.00), იტალიის (23.00), აშშ-ის (01.00), ჩემპიონატები და მიმოხილვა. კალათბურთი. ნბა (04.30, 05.00 — პლეიოფი). *EUROSPORT.* ფეხბურთი: იუნიორთა ევრო-2001-ის ჩემპიონატი (11.30), ერთი მსოფლიო — ერთი თასი (13.30, 20.00). რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (19.30, 1.30). *HTB плюс футбол.* ესპანეთის (15.00), ჰოლანდიის (17.00, 20.45), ევროპის ჩემპიონთა მინი-ფეხბურთის (19.00), ევროპის ქვეყნების (20.00), გერმანიის (23.10), იტალიის (1.20) ჩემპიონატები და მიმოხილვა.

5 მაისი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი ბრინჯაოს მედლებისათვის (16.00, შესვენებისას — ოვერტაიმი), *რუსთავი-2.* ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის საკვირაო მიმოხილვა (19.00), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (20.00), *ESPN.* ფეხბურთი: ინგლისის (19.00, პირდაპირი, 21.00, 03.00), იტალიის (0.00) ჩემპიონატები და მიმოხილვა. *EUROSPORT.* რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (12.30, 19.30, 15.00, 1.30), კალათბურთი. ევროლიგა (13.00), ფეხბურთი: იუნიორთა ევრო-2001-ის ჩემპიონატი (13.30), ფეხბურთში 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გზით (21.30). *HTB плюс футбол.* გერმანიის (13.15), ევროპის ქვეყნების (15.00), ჰოლანდიის (15.45), მინიფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის (17.25), იტალიის ან ესპანეთის ჩემპიონატის მატჩი (23.30, 1.35). ტელეკომპანია *VII არხი.* კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი (22.30), ფეხბურთი: ევროპის ქვეყნების (23.30), ესპანეთის (1.50) ჩემპიონატები და მიმოხილვა.

6 მაისი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. სპორტული პროგრამა (19.20), *ევროკა.* მსოფლიო სპორტი (23.30), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (11.10), *ESPN.* ფეხბურთი: ინგლისის „მანჩესტერი" — „დერბი ქაუნთი" (09.30, 20.00 — პირდაპირი), იტალიის (15.30), ჩემპიონთა ლიგის (19.00) ჩემპიონატები და მიმოხილვა, კრივი — საუკეთესონი — მუჰამედ ალი (17.30), რაგბის სამყარო" (23.30), კალათბურთი. ნბა. პლეიოფი, პირდაპირი (00.00, 02.30), *EUROSPORT.* რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (18.00, 1.30), ფეხბურთი. იუნიორთა ევრო-2001-ის ჩემპიონატი (18.30, 2.45), *HTB плюс футбол.* რუსეთის (13.15, 13.55), იტალიის (15.40, 23.25 — პირდაპირი), ჩემპიონთა ლიგის (20.10), ესპანეთის (21.00, 1.35) ჩემპიონატები და მიმოხილვა.



კროსვორდი № 34

თარაგულად: 2. ქუთაისის „ტორპედოს" ფორვარდი, 6. ილეთი ქართულ ჭიდაობაში, 8. თბილისის „დინამოს" ვეტერანი თავდამსხმელი, 9. მიუნხენის „ბაიერნის" ნახევარმცველი, 12. ჰადრაკში წარსულში მსოფლიო ჩემპიონი ვაჟი, 13. თბილისის „დინამოს" კაპიტანი 60-იან წლებში — ფეხბურთელი, 15. ავტომრბოლთა შეჯიბრება, 16. ქართველი ძალოსანი ოლიმპიური თამაშების პრიზიორი და ევროპის ჩემპიონი, 19. ფეხბურთში კარში გატანილი ბურთი, 20. პირველი მსოფლიო რეკორდსმენი საბჯოთა ძალოსანი, 21. მადრიდის „რეალის" კაპიტანი, 22. შუამარბი ანუ... 24. ამერიკელი მძლეოსანი, 25. ნარნარი ფრენა, 26. ილეთი ანუ... 27. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მწვრთნელი.

შვეულად: 1. ქართველ მორაგბეთა უცხოელი მწვრთნელი, 3. მოსკოვის „სპარტაკის" ვეტერანი ფეხბურთელი, 4. არგენტინელი ვეტერანი ჩოგბურთელი ქალი, 5. მადრიდის „რეალის" ნახევარმცველი, 6. ჩილეს ნაკრების თავდამსხმელი — ფეხბურთელი, 7. თბ. „დინამოს" ვეტერანი ძმები ფეხბურთელების გვარი, 10. ქართველი მოჭადრაკე ქალი, 11. კვიპროსის საფეხ. კლუბი, 14. ფეხბურთში ინგლისის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი, 15. ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი (სოკრატესის ძმა), 17. ცურვის ყაიდა, 18. ძალოსნობის პროგრამა, 21. ხაშურის საფეხბურთო კლუბი, 23. ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების მეკარე.

№33 კროსვორდის პასუხები:

თარაგულად: 1. სელტა, 3. ალანია, 7. როა, 8. არახამია, 10. აია, 11. გუცაევი, 12. დემეტრაძე, 15. ნენე, 16. ბალაძე, 18. ზაგალო, 19. კარავი, 21. სტრასბური, 22. ისარი.

შვეულად: 1. სარაგოსა, 2. ვეა, 4. ლომიძე, 5. „ანცი", 6. ფარვა, 9. ტალი, 10. ასანიძე, 13. უნაგირი, 14. ალავესი, 16. ბურე, 17. აკვრა, 20. ფრე.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

შ. ფიცხელაური, თ. მაჭავარიანი, რ. რურუა, ვ. კანკავა, გ. ყვარელაშვილი, გ. ბალავაძე, დ. ციმაკურიძე, გ. საღარაძე, ო. ბლიაძე და გ. კობოსნიძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ქართველ ფალავანთა დიდი მეგობრის

ვასილ (ვასიკო)
ფოცხვერიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 7. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელის" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინფორმერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.